



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ელენე ხეთაგური

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს პროგრამების
ეფექტურობის შეფასება

სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საჯარო მმართველობის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნანა მაჭარაშვილი

თბილისი, 2019

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის თემა არის „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს პროგრამების ეფექტურობის შეფასება“. სააგენტო, წარმოადგენს სახელმწიფო უწყებას რომელიც ორიენტირებულია ხელი შეუწყოს მშვიდობიან თანაცხოვრებას პლურალურ და სეკულარულ გარემოში.

საკითხი აქტუალურია, რადგან იურიდიული თვალსაზრისით ამ მომენტამდე მკვეთრად არ არის განსაზღვრული კონკრეტული მიმართულება, რომელიც სეკულარულ მმართველობას შეუწყობს ხელს, ასევე საკითხის აქტუალურობას ხელს უწყობს არამხოლოდ ის სამართლებრივი და არასიმეტრიული ინსტიტუციური გარემო, რომელიც დემოკრატიულობის პრინციპს უპირისპირდება არამედ კონფლიქტების გაღვივების საფრთხის შეფასება, რომელიც მშვიდობიანი და უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებას უშლის ხელს. პროგრამა შეფასდება მისი არსებობის აუცილებლობიდან გამომდინარე, რამდენად შეესაბამება იგი სეკულარული მმართველობის პრინციპებს და საქართველოს თანამედროვე გამოწვევებს.

კვლევის მიზანია, ერთი მხრივ, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს პროგრამების ანალიზი და მათი ეფექტურობის შეფასება, სახელმწიფოს თანამედროვე გამოწვევებიდან გამომდინარე და მეორე მხრივ, პროგრამების შესაბამისობა სააგენტოს მიზნებსა და ამოცანებთან. სერვისის მიწოდების ეფექტურობის საკითხი კვლავ მნიშვნელოვანია საქართველოს ადმსრულებელ ხელისუფლებაში. კვლევაში შესწავლილი იქნა სააგენტოს ღონისძიებები და შედეგები თეორიულ ჩარჩოზე დაყრდნობით. კვლევის საგანს წარმოადგენს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ოთხი პროგრამის შესწავლა სეკულარული მმართველობის ჭრილში. კვლევის ობიექტია დოკუმენტური მასალა, სადაც გაანალიზებულია პროგრამების მსვლელობა.

ნაშრომში გათვალისწინებულია თვისებრივი კვლევის მეთოდით მიღებული შედეგები. გამოყენებული იქნა სისტემური ჩანაწერები, მეორადი მონაცემები და პირველადი მონაცემები, რათა შეგვექმნა ჰოლისტური შედეგი. მეორადი მონაცემების

სახით დამუშავდა სააგანარიშო პერიოდის ყველა დოკუმენტი, ხოლო პირველადი მონაცემები მოპოვებულ იქნა ინტერვიუების მეშვეობით.

კვლევამ გამოავლინა, რომ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ დაგეგმილი პროგრამების იდეა არის მნიშვნელოვანი, თუმცა კვლევის საგანი მიზნად ისახავდა გაარკვია, რამდენად შეესაბამება იგი სახელმწიფო გამოწვევებს. კავშირი, რომელიც სახელმწიფო პროგრამებს და სეკულარულ მმართველობას შორის არსებობს არის დადებითი თუ მოჩვენებითი ხასიათის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სეკულარული მმართველობა, არასიმეტრიული ინსტიტუციური გარემო, სერვისის მიწოდება, მოჩვენებითი კავშირი,

ANNOTATION

The subject of this master's thesis is "Evaluation of effectiveness of programs of State Agency for Religious Issues". The State Agency for Religious Affairs focuses on promoting peaceful coexistence in a plural and secular environment. The issue is urgent, since the legal point of view is not clearly defined in the specific direction that will facilitate secular governance, The issue also contributes not only to the legal and non-semi-institutional environment that confronts the principle of democracy, but also the risk of escalating conflicts that hinder the development of a peaceful and secure environment. Evaluation of effectiveness of programs of State Agency for Religious Issues conducted by E. Khetaguri will evaluate the necessity of its existence, how does it correspond to the principles of secular governance and modern challenges of Georgia.

The research aims to analyzing the programs of the State Agency for Religious Issues and assessing their effectiveness, due to the state challenges and on the other hand, the compliance of the programs with the objectives of the Agency. The effectiveness of service delivery is still important in the executive power of Georgia. The research will be studied by the Agency's activities and results based on the theoretical framework.

The subject of the research is the study of the Four State Program of Religious Issues in the context of secular governance. The objective of the research is the documentary material, which analyzes the programs. The study provides the results obtained through the qualitative research method. System records, secondary data and primary data were used to obtain a holistic outcome. All the documents of the periodic period were processed as secondary data, and the primary data was obtained through interviews.

The study revealed that the idea of programs planned by the State Agency for Religious Issues is important, but the research objective was to find out how the state challenges them. The connection between state programs and secular governance is positive or Spurious.

Keywords: *Secular governance, Non-asymmetric institutional environment, Service delivery, Spurious Relationship,*

შინაარსი

ფიგურების ჩამონათვალი.....	V
ცხრილების ჩამონათვალი.....	V
შესავალი	6
1. ლიტერატურის მიმოხილვა და საკანონმდებლო ბაზა.....	12
1.1 ლიტერატურის მიმოხილვა	12
1.2 თეორიული ჩარჩო.....	14
1.3 საკანონმდებლო ბაზა.....	16
2. კვლევის მეთოდოლოგია.....	19
2.1 თვისებრივი მეთოდი.....	19
2.2 კვლევის დიზაინი	19
2.3 მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტები	20
2.4 შერჩევა და რესპონდენტები	21
2.5 კვლევის ლიმიტი.....	22
2.6 ანალიზის ქსელი	23
2.7 ცვლადების ოპერაციონალიზაცია	25
2.7 ქმედითობის გაზომვის ინსტრუმენტები	26
3. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს პროგრამების მიმოხილვა.....	27
3.1 შენობა-ნაგებობების გადაცემის პოლიტიკის შეფასება	27
3.1.1 რესტიტუციის პოლიტიკის შედეგები და განსჯა.....	30
3.2 დაფინანსების პოლიტიკის შეფასება	35
3.2.1 დაფინანსების პოლიტიკის შედეგები და განსჯა	37
3.3 ცნობიერების და ურთიერთცნობადობის ამაღლების პროგრამა.....	40
3.3.1 ცნობიერების და ურთიერთცნობადობის ამაღლების პროგრამის შეფასების შედეგები და განსჯა	44
3.4 დავების გადაწყვეტის პროგრამა	47

3.4.1 დავების გადაწყვეტის პოლიტიკის შედეგები და განსჯა.....	50
4. საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა	53
4.1 ევროპული პრაქტიკის მიმოხილვა	53
4.2 პოსტსაბჭოთა პრაქტიკის მიმოხილვა.....	56
დასკვნა	59
გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;.....	62
დანართი 1: : სატიტულო ფურცლის ინგლისური თარგმანი	LXVII
დანართი 2: კვლევის კითხვარი.....	LXVII

ფიგურების ჩამონათვალი

ფიგურა 1 : ცვლილების თეორიის ელემენტები	14
ფიგურა 2 : რელიგიის სახელმწიფო სააგენტოს პროგრამები.....	24
ფიგურა 3 : რელიგიური რუკები	40
ფიგურა 4 : საქართველოში მოქმედი საკულტო ნაგებობები.....	41
ფიგურა 5 : რელიგიური კალენდარი.....	42
ფიგურა 6 : სამი აქტივობის შეჯამება	45
ფიგურა 7 შეწყვეტილი გამოძიების მაჩვენებლები.....	49

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1 : ცვლილების თეორიის საფეხურები	15
ცხრილი 2 : ლოგიკური ჩარჩოს ანალიზი და დაგეგმვა	16
ცხრილი 3 : ანალიტიკური ქსელი.....	23
ცხრილი 4 : კომისიის მიერ განხილული სხდომები	29
ცხრილი 5 : შენობა-ნაგებობების გადაცემის პოლიტიკის შეფასების ფორმა	33
ცხრილი 6 : რესტიტუციის პოლიტიკის ანალიტიკური ქსელი.....	34
ცხრილი 7 : სააგენტოს მიერ 2014-2017 წლებში დაფინანსებული თემები	36
ცხრილი 8 : დაფინანსების პოლიტიკის ანალიტიკური ქსელი	39
ცხრილი 9 : ცნობიერების ამაღლების პროგრამის შეფასების ფორმა.....	44

ცხრილი 10 : ცნობიერების ამაღლების პროგრამის ანალიტიკური ქსელი	46
ცხრილი 11 : დავების გადაწყვეტის პროგრამის შეფასების ფორმა	50
ცხრილი 12 : დავების გადაწყვეტის პროგრამის ანალიტიკური სქემა.....	51

შესავალი

შეუწყნარებლობა საზოგადოებაში არსებული ფუნდამენტური პრობლემაა. ის ერთ-ერთ ინდიკატორს წარმოადგენს, თუ რამდენად ახერხებენ საქართველოს მოქალაქეები სეკულარული საზოგადოების ჩამოყალიბებას და რამდენად მზად არის მთავრობა უზრუნველყოს დემოკრატიული მმართველობის პრინციპები. წინამდებარე დოკუმენტი ორიენტირებულია წარმოაჩინოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს პროგრამების დეტალური ანალიზი საანგარიშო პერიოდში 2016-2017 წწ.

სააგენტოს შექმნის მთავარი მიზანი იყო კომფლიქტების პრევენცია, რელიგიური ორგანიზაციებისთვის თანაბარი უფლებების მინიჭება და პლურალური გარემოს უზრუნველყოფა. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს კომპეტენციები მრავალი მეცნიერისთვის დაბნეულობის საგანს წარმოადგენს, ვინაიდან მისი სფერო ერთი მხრივ სარეკომენდაციო ხასიათისაა, ხოლო მეორე მხრივ საკმაოდ მძლავრად არის ჩაბმული რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის წარმართვაში. მისი დებულების გათვალისწინებით არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის სარეკომენდაციო, კვლევით, საინფორმაციო და სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა რელიგიის სფეროში (რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, 2014). კვლევა დაეყრდნო რამოდენიმე კითხვას, რომლის პასუხებიც გამოარკვევს, თუ როგორი ურთიერთობა არსებობს დღეისათვის რელიგიურ თემებს შორის.

საინტერესოა სააგენტოს დაარსების შემდგომ და მისი პროგრამების განხორციელების კვალობაზე რა ცვლილებები შეიმჩნევა. საქართველოში ხშირად საუბრობენ მართლმადიდებელი ეკლესიის უპირატესობისა და სხვა რელიგიური თემების ნაკლებად პრიორიტეტულ მდგომარეობაში ყოფნის თაობაზე, წლების მანძილზე მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მოიხვეჭა რელიგიური მონოპოლია.

საქართველოს კონსტიტუცია თანაბარ პრიორიტეტებს ანიჭებს ყველა რელიგიურ ორგანიზაციას და იქვე, კონსტიტუციაში არის აღნიშნული მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი საქართველოს ისტორიაში, უდავოა, ეს უკანასკნელი

ჩანაწერი არანაირად არ სცილდება კონსტიტუციურ ჩარჩოს, თუმცა მსგავსი ჩანაწერი ისეთი ქვეყნის კონსტიტუციაში, რომელიც სეკულარული სახელმწიფოს პრინციპებს იზიარებს რამდენად მიზანშეწონილია განსჯის საგანს წარმოადგენს. კვლევაში გაანალიზდება რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს პროგრამების ეფექტურობა, სააგენტო ახალგაზრდა ორგანიზაციაა, რომელიც სწორედ სეკულარული გარემოს ხელშეწყობისათვის შეიქმნა, თუმცა კვლევის მიზანია მისი თვითოეული პროგრამის ანალიტიკური შეფასება და განსაზღვრა გამომდინარე სააგენტოს ამოცანებიდან და არა, როგორც დამოუკიდებელი პროგრამები. ვიდრე უშუალოდ კვლევის მეთოდები და ანალიზის მიმართულება განისაზღვრება მნიშვნელოვანია ორი სიტყვით მოგიტხროთ, თუ რა მიზნით შეიქმნა სააგენტო, რა ფაქტორებმა განაპირობა მისი დაარსება და გამომდინარე მისი არსებობის აუცილებლობიდან შეფასდება მისი ქმედებები. საკვლევი პროგრამები საკმაოდ კომპლექსურია, არსებობს სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც ხარვეზებით არის აღსავსე და სწორედ ამ ჩავარდნების გასამკლავებლად დაარსდა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, შესაბამისად ჩვენც შევეცდებით ამ კვლევით სინათლე შევმატოთ საკითხს, რომელზეც ყველას აქვს შეხედულება თუმცა მეცნიერულად დამტკიცებულ ჰიპოთეზებზე ნაკლები საუბრობს.

საკითხის აქტუალურობას განაპირობებს არამარტო მისი სოციალური ბუნება, რომელიც განსაზღვრავს მრავალი ადამიანის თავისუფლად თანაცხოვრების შესაძლებლობას, მშვიდობიან და სტაბილურ გარემოში, არამედ სააგენტოს ხელში არსებული რბილი ბერკეტების მიუხედავად, იგი საკმაოდ ძლიერ პოზიციაში აღმოჩნდა და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციის ფუნქციონირებას. ასევე საკითხის აქტუალურობას ხელს უწყობს არამხოლოდ ის სამართლებრივი, პოლიტიკური და არასიმეტრიული ინსტიტუციური გარემო, რომელიც დემოკრატიულობის პრინციპს უპირისპირდება არამედ კონფლიქტების გაღვივების საფრთხის შეფასება, რომელიც მშვიდობიანი და უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებას უშლის ხელს. სეკულარიზმი თავის თავში მოიაზრებს სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ ნეიტრალურ დამოკიდებულებას ყველა რელიგიური ორგანიზაციის მიმართ, არცერთი ორგანიზაცია იერარქიური თვალსაზრისით არ უნდა აღემატებოდეს დანარჩენს, შესაბამისად დაფინანსების პროგრამების დეტალური ანალიზი და ანგარიშები არის

საინტერესო მასალა კვლევის პროცესში დასკვნების გასაკეთებლად. ვიდრე 2011 წლამდე საქართველოში მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ქონდა იურიდიული პირის სტატუსი განსხვავებით კათოლიკური, ისლამური, იუდეური და სომხეთის სამოციქულო ეკლესიისაგან. ეს იმის მაუწყებელია, რომ ყველა დანარჩენ რელიგიურ ორგანიზაციებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გარდა საკულტო ნაგებობების დაბრუნების უფლება არ გააჩნდათ. სააგენტოს დაარსების შემდგომ მსგავსი საკითხები დარეგულირების პროცესში გადავიდა და დღესაც მიმდინარეობს ამ პროცედურის დახვეწა, თუმცა რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების საკითხი კვლავ მწვავედ დგას. 2001-2011 წლების პერიოდებში მართლმადიდებლურმა ეკლესიამ შემლო საკუთარი პოზიციების გაძლიერება, ფლობს ტელევიზიას, სკოლებს, ინსტიტუტებს და ერთ-ერთი მძლავრი მექანიზმია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ მომენტამდე მართლმადიდებელი ეკლესია არამხოლოდ რელიგიური ინსტიტუტის როლში გვევლინება, არამედ საზოგადოებაში განსაზღვრავს ღირებულებებს და, ამავე დროს, სახელმწიფო კანონმდებლობასა და პოლიტიკაზეც არაერთხელ პირდაპირ უცდია გავლენის მოხდენა. ამის მაგალითია, 2011 წელს რელიგიური უმცირესობების სტატუსის შესახებ სამოქალაქო კოდექსის ჩასწორება. სწორედ ამ უთანასწორო სამართლებრივ, პოლიტიკურმა და ისტორიულმა გარემომ განაპირობა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დაარსება. რელიგიას და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა საუკუნებს ითვლის (ხეცურიანი, n.d.), შესაბამისად მნიშვნელოვანია კონტექსტური ანალიზი. მისასალმებელია მართლმადიდებელი ეკლესიის აღორძინება მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვა რელიგიური გაერთიანებები განიცდის უკმაყოფილებას, ვინაიდან ვერ ანხორციელებს სრულფასოვნად თავის საქმიანობას (პაატა გერგაია, 2016).

კვლევის მიზანია, ერთი მხრივ, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს პროგრამების ანალიზი და მათი ეფექტურობის შეფასება სახელმწიფოს თანამედროვე გამოწვევებიდან გამომდინარე და მეორე მხრივ, პროგრამების შესაბამისობა სააგენტოს მიზნებსა და ამოცანებთან.

რსსს წარმოადგენს მთავრობას, მთავრობა კი საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის განვითარების სტრატეგიის თანახმად პასუხისმგებელია,

უზრუნველყოს სეკულარული მმართველობის და პლურალური სახელმწიფოს პრინციპები. სეკულარიზმის დისკურს სხვადასხვა განმარტება გააჩნია აკადემიურ სივრცეში, წინამდებარე კვლევა ეყრდნობა სეკულარიზმის პოლიტიკურ და სამართლებრივ კონოტაციას (Palomino, 2012).

კვლევის ამოცანას წარმოადგენს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საანგარიშო პერიოდის 2016–2017 წლების ანგარიშის, ასევე 2014–2015 წლების ანგარიშების, საჯარო გამოსვლებისა და მედია საშუალებებთან ინტერაქციის ამსახველი დოკუმენტების ანალიზი, რათა მივიღოთ ზუსტი ინფორმაცია მათი საქმიანობის შესახებ ასევე, ოთხი რელიგიური თემის წარმომადგენლების შეხედულებები სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელსაც სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარების მეშვეობით ვუზრუნველყოფთ. ამავე დროს ჩატარდება ინტერვიუ, საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი) მცხოვრებ ქართველ რელიგიურ უმცირესობების წარმომადგენლებთან, ისევე როგორც რელიგიურ საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლებთან, გაანალიზდა როგორ მიმდინარეობს შესრულებული პროგრამებისა და პროექტების ასახვა მათ საქმიანობაზე, როგორია მათი აღქმები და დამოკიდებულებები ამ პროცესთან დაკავშირებით.

შესაბამისად, ჩამოყალიბდა ძირითადი **საკვლევი კითხვა**: „რამდენად უზრუნველყოფს საქართველოში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, მის მიერ შემუშავებული პროგრამებით სეკულარული და პლურალური გარემოს ხელშეწყობას?“
და ქვეკითხვები:

- რამდენად ხორციელდება სახელმწიფოს მიერ რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსებისას, ფინანსების თვითმართვის უფლების მინიჭება?
- რამდენად თანაბარი უფლება-მოვალეობები ეკისრება რელიგიურ თემებს შენობა-ნაგებობების დაკანონების პროცესში?
- რამდენად ეფექტურად უზრუნველყოფს ცნობიერების ამაღლების პროგრამებს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო?
- რამდენად ადეკვატურად ასრულებს სააგენტო შუამავლის როლს დავების

გადაწყვეტაში, საქართველოში არსებულ რელიგიურ გაერთიანებებს შორის.

საკვლევ კითხვას პასუხობს **ძირითადი დაშვება:**

„რაც უფრო მეტია აღმასრულებელ ხელისუფლებაში სეკულარული მმართველობის დანერგვის ინტენსივობა, მით უფრო ეფექტურად იქნება შესრულებული მათ მიერ შემუშავებული პროგრამები“, ქვეკითხვებს კი ახლავს შესაბამისი **ქვეპიპოთეზები:**

- სახელმწიფოს მიერ რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსებისას, ფინანსების თვითმართვის უფლების მინიჭება ყველა თემისთვის შექმნის სტაბილურ გარემოს
- რაც უფრო თანაბრი უფლება-მოვალეობები დაეკისრებათ რელიგიურ თემებს შენობა-ნაგებობების დაკანონების პროცესში, მით უფრო ეფექტურად განიკარგება უძრავი ქონება .
- ცნობიერების ამაღლების პროგრამების მეშვეობით, სააგენტო აღმოფხვრის შესაძლო კონფლიქტების გაღვივებას.
- რაც უფრო ადეკვატურად ასრულებს სააგენტო შუამავლის როლს დავების გადაწყვეტაში, მით უფრო ეფექტურად სრულდება სეკულარული მმართველობის პრინციპები .

კვლევის დაწყებამდე, აკადემიური ინფორმაციის დამუშავებისა და არსებული კვლევების შესწავლის პარალელურად ჩამოყალიბდა **პრობლემის განცხადება**, ნორვეგიის ადამიანის უფლებათა ცენტრთან არსებული ოსლოს კოალიციის მიერ ჩატარებულ კვლევაში, საქართველოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ, საბჭოთა კავშირის დროს მოქმედი სისტემა ჩაანაცვლა საკუთარი უსამართლო და თვითნებური პროცედურებით (Gunn, 2015). კვლევა ორიენტირებულია ძირფესვიანად შეისწავლოს სააგენტოს მიერ შემუშავებული პროგრამები. პოლიტიკური აჯენდას განხილვისას, მწვავე პრობლემას წარმოადგენს რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების, რელიგიური უმცირესობების უფლებების და მშვიდობიანი თანაცხოვრების გამოწვევები.

კვლევაში ცენტრალური ცნებაა პროგრამების ადეკვატურობა სეკულარიზმის და პლურალიზმის პრინციპებთან.

სამაგისტრო ნაშრომის მეცნიერული სიახლე

- შესწავლილია რელიგიის საკითხთ სახელმწიფო სააგენტოს პროგრამები და მისი ძირითადი ტენდენციები სახელმწიფოს თანამედროვე გამოწვევებიდან გამომდინარე.
- შემუშავებულია, პროგრამების შეფასების კვლევის მეთოდოლოგია.
- შესწავლილია ანალოგიური უწყებების საერთაშორისო გამოცდილება.

კვლევის საგანი და ობიექტები იყვნენ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო; ყველა რელიგიური თემი/ორგანიზაცია, უმცირესობების წარმომადგენლები; საჯარო მოხელეები იმ მუნიციპალიტეტებში სადაც კონფლიქტებმა იფეთქა. თითოეული მათგანი წარმოაჩენს საკუთარ დამოკიდებულებას რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს პროგრამების ეფექტურობის შეფასების კვლევაში.

სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სამაგისტრო ნაშრომში არის ასახული კომპიუტერზე ნაბეჭდი 70 გვერდი, მათ შორის ძირითადი ტექსტის 60 გვერდს. იგი შედგება შესავლის, დასკვნის, ბიბლიოგრაფიის და ოთხი ძირითადი თავისაგან პირველ თავში განხილულია ლიტერატურის მიმოხილვა, საკანონმდებლო ბაზა და თეორიული ჩარჩო, რათა გამარტივებულიყო კვლევის პროცესი, მეორე თავი მოიცავს კვლევის მეთოდოლოგიას, შემდეგი თავი მოიცავს დეტალურ ანალიზს იმ ძირითადი ოთხი პროგრამისა, რომელზეც კვლევა ჩატარდა, ხოლო მეოთხე თავი საერთაშორისო გამოცდილებას წარმოადგენს. ტექსტში არის ჩართული 7 ფიგურა და 12 ცხრილი. ასევე, ნაშრომს თან ერთვის 2 დანართი და 52 დასახელების ლიტერატურა.

1. ლიტერატურის მიმოხილვა და საკანონმდებლო ბაზა

პირველი თავი უზრუნველყოფს ლიტერატურის მიმოხილვას, საკანონმდებლო მიმოხილვას და თეორიულ ჩარჩოს, კვლევის პროცესში მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა ლიტერატურის მოძიება, რათა მკაფიო წარმოდგენა შექმნილიყო საყოველთაო დებატებზე, რომელიც აკადემიურ სივრცეში არსებობს, ასევე განხილული იქნება ცვლილების თეორიის ჩარჩო, ლოგიკური თეორიის ჩარჩო და დაინტერესებულ მხარეთა თეორიული ჩარჩო. პირველ თავში ასევე წარმოდგენილია საკანონმდებლო ბაზა, რათა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ფუნქციონირების შესახებ მაქსიმალურად მკაფიო და გასაგები სურათი წარმოგვეჩინა.

1.1 ლიტერატურის მიმოხილვა

საკვლევი თემის ფარგლებში ლიტერატურისა და სამეცნიერო მასალების გაცნობის კვალდაკვალ შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ რელიგიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობებით მრავალი სოციალური მკვლევარი არის დაინტერესებული. საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, მთელი რიგი პრობლემები წარმოიშვა და გაღვივდა სეკულარული მმართველობის, რელიგიური შემწყნარებლობის და პლურალური გარემოს შექმნის გზაზე.

სეკულარული მმართველობა, განსაზღვრავს რელიგიური ინსტიტუტების და სახელმწიფო პოლიტიკური ფუნქციების გამიჯვნას, სახელმწიფოს მართვის პოლიტიკა თავისუფალია რელიგიური გავლენებისგან (ზაზა ვაშაყმაძე, 2016). კვლევები სხვადასხვა მიმართულებით არის წარმართული თუმცა მათ ერთი მთავარი ტენდენცია ახასიათებთ, სეკულარიზმი და პლურალიზმი ყოველთვის დომინანტი აქტორებია რელიგიური უმცირესობებისა და სახელმწიფო რელიგიური პროგრამების შეფასების პროცესში (Jansen, 2013). პოსტსაბჭოთა ქვეყნების გამოცდილება, ცხადყოფს რომ სოციალისტური ქვეყნები მეტად არიან მიდრეკილნი შექმნან შუამავალი ორგანო, რომელიც უხელმძღვანელებს სახელმწიფოსა და რელიგიურ თემებს წარმართონ ნაყოფიერი ურთიერთობები, ეს უკანასკნელი განპირობებულია იმ ნაციონალური, სოციალური, ინტელექტუალური და კულტურული ასპექტებიდან გამომდინარე, რომელიც ქმნის

რელიგიურ ცხოვრებას და რომლის ფესვებიც ქვეყნის ისტორიის საფუძველშია (Luchterhandt, 2008). პოსტსაბჭოთა და ევროპული გამოცდილების შედარება საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა. კვლევაში აქტიურად მოხდა საკანონმდებლო ბაზის დამუშავება და სხვადასხვა უწყებების დებულებების გადახედვა ჰოლისტური ხედვის ჩამოყალიბების მიზნით.


რელიგიური თანასწორობა, არის მთავარი გამოწვევა არამარტო საქართველოსთვის არამედ, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმეტესობა დგას ამ გამოწვევის წინაშე (Byrd, 2017). ევროპის მაშტაბით მუდმივად აქტუალურია კვლევები რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დაცვის მდგომარეობასთან დაკავშირებით, ეს კვლევები არა მარტო აკადემიური სფეროსათვის წარმოადგენენ მნიშვნელოვან მასალას არამედ, წარმოაჩენენ იმ ნიუანსებს, რომელზეც საჭიროა სახელმწიფომ იმუშაოს რათა დაცული იყოს ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, უფრო კონკრეტულად, რეკომენდაციის თვალსაზრისითაც ხშირად გამოიყენება აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში (Barbalet, 2011). ამერიკის და ევროპის მაშტაბით რამოდენიმე ქვეყანა საკანონმდებლო ცვლილებებსაც აქტუალურად მიმართავს პრობლემის ძირეულად აღმოფხვრისთვის, იმ ქვეყნების მაგალითზე დაყრდნობით რომელშიც რელიგიური უმცირესობების უფლებებისა და თავისუფლებების კონსტიტუციურად ცვლილებების თემა მუდმივად აქტუალურ ფაზაშია, განეკუთვნება ავსტრალია (Paul Babie, 2012). პოლ ბაბი და ნევილ როჩოვი მიუთითებენ, რომ წლების განმავლობაში რელიგიური უფლებების საკითხი დღისწესრიგში დგას, სახელმწიფო მუდმივად მიისწრაფვის პროგრამების სრულყოფისაკენ. ურთიერთობები სახელმწიფოსა და რელიგიურ თემებს შორის განსხვავდება ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, კონსტიტუციაშიც განსხვავებული ჩანაწერები ფიქსირდება რაც ევროპის ქვეყნებს ინდივიდუალურს ხდის (Nieuwenhuis, 2012). სახელმწიფო მოხელეების დამოკიდებულება და სეკულარიზმის შესახებ დისკურსი თანამედრო დემოკრატიული სახელმწიფოს ერთერთი მთავარი ანალიტიკური თემაა (Berger, 2017). პლურალური სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი არის ნეიტრალური დამოკიდებულება საჯარო სფეროში. უმცირესობათა უფლებები არის საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი მთავარი ობიექტი, კომპლექსურია მისი ხასიათი ვინაიდან

ჯგუფური უფლებები ხშირად უპირისპირდება ინდივიდუალურ უფლებებს (Elizabeta Kitanovic, 2016). საქართველოში რამოდენიმე კვლევითი ცენტრი მუდმივად იკვლევს სახელმწიფოსა და რელიგიან შორის ურთიერთობას, მაგალითად ადამიანის სწავლებისა და მონიტორინგი ცენტრი, ასევე ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის. წინამდებარე კვლევა საჯარო მმართველობის თეორიულ და ინსტრუმენტულ საშუალებებზე დაყრდნობით ხორციელდება, ამიტომ ზემოთ ხსენებულ კვლევით ცენტრებს გავეცანით და კვლევაში პროგრამების ანალიზი გამოვიყენეთ.

1. 2 თეორიული ჩარჩო

პროგრამების ეფექტურობის შეფასებისას საჯარო მმართველობის სფეროში აკადემიკოსები მუდმივად აყალიბებდნენ თეორიებს, რომელიც პროგრამის შეფასებას გაამარტივებდა, ცვლილების თეორია (Theory of change) კრიტიკულია პროგრამების შემქმნელთათვის, რადგან ეხმარება მათ გაიაზრონ, თუ როგორ და რატომ მუშაობს მათი პროექტი/პროგრამა (James P. Connell, 1998). ცვლილების თეორიას აქვს რამოდენიმე ფუნდამენტური ელემენტი: კონტექსტი, საჭირო მოვლენების თანმიმდევრულობა, შუალედური შედეგები, გრძელვადიანი შედეგები და ლოგიკური მოდელი (Scott Naftel, 2006).

ფიგურა 1 : ცვლილების თეორიის ელემენტები



წყარო: (Journal of MultiDisciplinary, 2018. გვ. 38)

ვეისის განმარტებით პროგრამაზე მომუშავე მონაწილეებს უნდა ქონდეთ ნათელი წარმოდგენა პროგრამის მიზანზე და შედეგებზე. ცვლილების თეორია დაწყების

დღიდან განსაზღვრავს შუალედურ და გრძელვადიან შედეგებს, ამავე დროს ახდენს იმ გარემოებების იდენტიფიცირებას, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს შედეგზე (James P. Connell, 1998). რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ოთხივე პროგრამის მიზანია პლურალური და სეკულარული გარემოს უზრუნველყოფა. წინამდებარე კვლევის მთავარი ამოცანა კი, რამდენად ეფექტურად ახერხებს სააგენტო მთავარი მიზნის მიღწევას (James P. Connell, 1998). ცვლილების თეორია ახდენს გასაზომი ერთეულების იდენტიფიცირებას, შესაბამისად ეს თეორია დაგვეხმარება განვსაზღვროთ ოთხივე პროგრამის თვისებრივი ინდიკატორები, რომელიც პროგრამის მიზნის მიღწევას ემსახურება, გარდა ამისა, ის განსაზღვრავს პროგრამის ან ღონისძიების განხორციელებადობას მის მიზანთან შეფარდებით.

ცხრილი 1 : ცვლილების თეორიის საფეხურები

საფეხური	აქტივობა
საფეხური 1	გრძელვადიანი მიზნის იდენტიფიცირება.
საფეხური 2	წინაპირობების განსაზღვრა, რომელიც აუცილებელია მიზნის მისაღწევად.
საფეხური 3	პროგრამების შემუშავება, რომელიც ასრულებს წინაპირობებს.
საფეხური 4	თითოეული წინაპირობის ინდიკატორების შემუშავება, რომლებიც გამოყენებული იქნება ინტერვენციების შესრულებისშესაფასებლად
საფეხური 5	ნარატივის დაწერა, რომელიც გამოყენებული იქნას რათა შეფასდეს თითოეული თეორიის ნაწილი.

კვლევას მნიშვნელოვნად დაეხმარება, მიზნებზე ორიენტირებული შეფასების მიდგომა, განსაზღვრულია სააგენტოს აქტივობების მიზანი და შეფასება ფოკუსირებულია რამდენად დაუახლოვდა პროგრამის/აქტივობის მიზანს.

ლოგიკური ჩარჩო (The log framework), არის ანალიტიკური მეთოდის შემდგომი ნაწილი, რათა პროგრამა დაშალოს ლოგიკურ კომპონენტებად და გაამარტივოს შეფასების დასკვნითი ეტაპი (Örtengren, 2004).

ლოგიკური მოდელი გვეხმარება შევექმნათ შედეგზე ორიენტირებული სისტემა,

რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ადეკვატური შეფასება. ზემოთაღნიშნული მოდელი პასუხობს შემდეგ კითხვებს.” იქნა მიღწეული პროგრამის მიზანი?“, „მიზნის მიღწევის საშუალებები იყო შესაბამისი პროგრამის ამოცანასთან?“ (Örtengren, 2004). ლოგიკური მოდელი პროგრამის ეფექტიანობის და ეფექტურობის გაზომვის შესაძლებლობას იძლევა, ვინაიდან ეფექტიანობა ზომავს პროგრამის შესრულებას ნაკლები დანახარჯებით, ხოლო ეფექტურობა ზომავს პროგრამის სასურველი შედეგის მიღებას (Fischer, 1999).

ცხრილი 2 : ლოგიკური ჩარჩოს ანალიზი და დაგეგმვა

ანალიზი	დაგეგმვა
1.დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი	5. პროგრამის დაგეგმა (Logframe)
2.პრობლემის ანალიზი	6.აქტივობების დაგეგმა
3.მიზნების ანალიზი	7.რესურსების დაგეგმვა
4.სტრატეგიის ანალიზი	

ანალიტიკური სქემის დასკვნით ნაწილს წარმოადგენს, დაინტერესებულ მხარეთა თეორია (Stakeholder theory) მიზნად ისახავს, ახსნას ყველა მონაწილის ინტერესი პროგრამის შეფასების პროცესში (Thomas Donaldson, 1995). რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოში მომუშავე საჯარო მოხელეებმა, პროგრამის შემუშავებისას უნდა განსაზღვრონ ყველა დაინტერესებული პირი, ამიტომ წინამდებარე კვლევაში გააზრებული იქნება სხვადასხვა აქტორების ურთიერთქმედება. შესაბამისად ამ სამიურთიერთდაკავშირებული თეორიის საფუძველზე გააანალიზა, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს პროგრამის ეფექტურობის შეფასება.

1. 3 საკანონმდებლო ბაზა

სამართლებრივი თვალსაზრისით, სეკულარიზაცია გულისხმობს სახელმწიფოსა და რელიგიის ერთმანეთისაგან მკვეთრ გამიჯვნას ინსტიტუციური თუ ფუნქციური ნიშნებით, რაც, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება სახელმწიფო პოლიტიკის გათავისუფლებას რელიგიური გავლენებისაგან და მკვეთრი პოლიტიკური ჩარევისაგან (ზაზა ვაშაყმაძე, 2016). შესაბამისად, სეკულარიზმი არის ორმხრივი სარგებელი და სიკეთე, რომლითაც თანაბრად სარგებლობს რელიგია ისევე, როგორც სახელმწიფო.

მსოფლიოს უმეტეს ნაწილში რწმენის და აზრის გამოხატვის თავისუფლება გარანტირებულია კონსტიტუციით ან სხვა სამართლებრივი აქტებით, ამიტომ ის ფუნდამენტურ უფლებათ მიიჩნევა (Krishnaswami, 1960). საქართველოს კონსტიტუცია, მართალია, არ უზრუნველყოფს რელიგიური ნეიტრალიტეტთან და სეკულარიზმთან დაკავშირებით მკაფიოდ და კონკრეტულად ფორმულირებულ ნორმებს, თუმცა კონსტიტუციის მე-9, მე-14 და მე-19 მუხლები, ადამიანის უფლებების, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებისა და დემოკრატიული მმართველობის ერთიანი კონსტიტუციური გარანტიების კონტექსტში, სრულად მოიაზრებს იმ პრინციპებს, რომელიც უკავშირდება სეკულარული და პლურალური გარემოს უზრუნველყოფას (საქართველოს კონსტიტუცია, 1995). რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დაფუძნება მოხდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 თებერვლის N 177-ე დადგენილების საფუძველზე, დებულებით და შესაბამისი კანონმდებლობით სააგენტოსთვის განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად, სააგენტოს გადაეცემა შესაბამისი ქონება კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის განვითარების სტრატეგია, 2015)

2002 წელს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის კონსტიტუციური შეთანხმება იქნა გაფორმებული, მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიაზე ვრცელდება დაფინანსების სხვადასხვა წყარო განურჩევლად ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან. გარდა ამისა ეკლესია ბიუჯეტიდან პირდაპირი სუბსიდირების გარდა, მაშტაბურ ფინანსურ დახმარებას იღებს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან და მთავრობიდან (პარლამენტი ს. რ., საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ, 2002).

2014 წლის 27 იანვარს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით „ საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისთვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ზოგიერთი ღონისძიების განხორციელებისწესის დამტკიცების თაობაზე „შესაბამისად სახელმწიფო იღებს ვალდებულებას საბჭოთა პერიოდში რელიგიური ორგანიზაციებისათვის ზარალის ანაზღაურების თაობაზე (საქართველოს მთავრობის

დადგენილება, 2014).

ვინაიდან, სახელმწიფოს წარმოადგენს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, ის ახორციელებს დაფინანსების ასიმეტრიულ პოლიტიკას, მართლმადიდებელი ეკლესიისაგან განსხვავებით ოთხი რელიგიური ორგანიზაცია განსხვავებული დაფინანსების პრაქტიკით გამოირჩევა, და ასევე არსებობს საქართველოში ოფიციალურად სხვა რელიგიური თემები, რომლებზეც პროგრამები არ ვრცელდება. ვინაიდან რსსს ინდივიდუალურად აფორმებს ხელშეკრულებას რელიგიურ თემებთან, იქმნება ერთგვარი ასიმეტრიული გარემოც, რომელიც მნიშვნელოვან დარღვევას წარმოადგენს.

შესავალში უკვე ავღნიშნეთ, რომ ყველა რელიგიური ორგანიზაცია სეკულარიზმის პრინციპებიდან გამომდინარე თანაბარ პირობებში უნდა იმყოფებოდეს, თუმცა კონსტიტუციური შეთანხმება თავისთავად დისკრიმინაციულ საფუძველს შეიცავს. დაფინანსების პოლიტიკა შემდეგ თავებში იქნება დეტალურად გაანალიზებული რათა კვლევის კითხვებს გაეცეს პასუხი.

წინამდებარე კვლევა ყურადღებას ამახვილებს რელიგიური დანაშაულის გამოძიებისა და პრევენციის პროგრამაზე, რომელსაც რსსს უძღვება მნიშვნელოვანია რელიგიური კონფლიქტების მართვის ერთიანი სტრატეგიული გეგმა იქნეს შემუშავებული, რომელიც სამართლებრივი აქტებით განმტკიცდება (Smet, 2017).

საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის განვითარების სტრატეგიის თანახმად, რელიგიის სფეროს მარეგულირებელ ეროვნულ კანონმდებლობას წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. (საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის განვითარების სტრატეგია, 2015).

2. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა მიმართულია დაადგინოს რელიგიურ საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს პროგრამების/პოლიტიკის ეფექტურობა საანგარიშო პერიოდში, დასახული მიზნებიდან და სახელმწიფო გამოწვევებიდან გამომდინარე კვლევის მეთოდოლოგია ეხება მონაცემების შეგროვების ტექნიკას (Bryman, 2008). ამ კვლევის მხარდასაჭერად მონაცემთა შეგროვებისთვის გამოყენებული იქნება თვისობრივი მიდგომა.

2.1 თვისობრივი მეთოდი

თვისობრივი კვლევის მეთოდი ერთ-ერთია, სადაც მკვლევარი ქმნის მიგნებებზე პრეტენზიასკონსტრუქციული პერსპექტივების საფუძველზე კერძოდ, ინდივიდუალური გამოცდილების მრავალი მნიშვნელობა, სოციალური და ისტორიული ფაქტორებიდან გამომდინარე იძენს მნიშვნელობას (Creswell, 2013). კვლევის სპეციფიკამ გვიბიძგა, რომ ეს მეთოდი არის შესაფერისი საკვლევის საკითხის შესასწავლად.

2.2 კვლევის დიზაინი

კროსსექციური დიზაინის გამოყენების მეშვეობით დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადების გაზომვა ერთდროულად მოხდება. ჩვენ ვცდილობთ გამოკითხულთა დამოკიდებულების დადგენას სააგენტოს პროგრამებთან მიმართებაში.

კვლევის დიზაინით განისაზღვრება, მკვლევარის მიერ შერჩეული თეორია და მეთოდების ჩარჩო, რათა შესწავლილ იქნას კვლევის სხვადასხვა კომპონენტები გონივრული და ლოგიკური ფორმით, ისე, რომ კვლევის პრობლემა ეფექტურად გაკონტროლდეს (Wagenaar, 1992). სხვა სიტყვებით, კვლევის დიზაინი ორი ძირითად ეტაპს მოიცავს, პირველი ზუსტად განსაზღვროს ის თუ რისი გარკვევა გვსურს და შემდგომ უკვე არჩეულ იქნას საუკეთესო გზა მიზანთან მისასვლელად (Wagenaar, 1992).

მონაცემების მოპოვება-დამუშავება განხორციელდა კვლევის თვისობრივი მეთოდის გამოყენებით, ვინაიდან კვლევის მიზანია ინდივიდუალური პიროვნებების დამოკიდებულებების ანალიზის საფუძველზე სააგენტოს მუშაობის და პროგრამების

ეფექტიანობის დადგენა, ასევე რამდენად პასუხობს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ქმედებები საკუთარ სახელმწიფო მიზნებს. შესაბამისად მნიშვნელოვანია თითოეული რესპოდენტის გამოცდილების გაზიარება და სიღრმისეული ანალიზი. ასევე, მოხდა სატელეფონო გამოკითხვა რელიგიურ საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენელთან და რელიგიურ ორგანიზაციებთან. კვლევა მოიცავს ასევე მეორადი წყაროების ანალიზს. მოპოვებული მონაცემების დასამუშავებლად გამოყენებული იქნება (Data Triangulation)-იგი მოიცავს მრავალ წყაროს და ტექნიკას, რათა გაზარდოს კვლევის შედეგების სანდოობა და სიმტკიცე (Guion, 2002). წინამდებარე თეორია დაეყრდნობა მხოლოდ მონაცემების სამკუთხედში ანალიზის ტექნიკას და არა სხვა დანარჩენ ტექნოლოგიებს, კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, კვლევა მოიცავს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობას, რომელიც მრავალ ჯგუფს ეხება; რელიგიური ორგანიზაციები, უმცირესობების წარმომადგენლების, საჯარო მოხელეები და სახელმწიფო და ასევე ზოგადად საზოგადოებას.

2.3 მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტები

სისტემური ჩანაწერების ხელმისაწვდომობის საშუალებით კვლევა გამარტივდა, წინამდებარე კვლევაში, გამოყენებული იქნება მეორადი მონაცემები და პირველადი მონაცემები, რათა მიღებულ იქნას ჰოლისტური შედეგი. მეორადი მონაცემები არის ინფორმაცია, რომელიც უკვე წერილობით ან ჩაწერილი ფორმითაა წარმოდგენილი (Neuman, 1997). მეორადი მონაცემები არის სტატიები, ოფიციალური ანგარიშები და წიგნები. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია საანგარიშო პერიოდის შესახებ გამოქვეყნებული: რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 2016-2017 წლების ანგარიში, 2014 და 2015 წლების ანგარიში, პრაქტიკული სახელმძღვანელო საჯარო მოხელეთათვის, გამოსვლებისა და კონფერენციების შემაჯამებელი სახელმძღვანელო, რომელთა დეტალური ანალიზი და მისი მისიასთან შესაბამისობის გამორკვევა არის მნიშვნელოვანი ამოცანა კვლევის პროცესში. ამავე დროს კვლევის პირველ ეტაპზე მოხდა სააგენტოს მიერ საჯარო გამოსვლებისა და მედიასთან ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტების კოდირება და დამუშავება, კვლევის ეს ეტაპი უმნიშვნელოვანესი იყო აკადემიური ინფორმაციის

მისაღებად, რათა კვლევა შემდეგ ეტაპზე გადასულიყო. ამ პროცესში მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჩვენს მიერ კოდირებული მასალები. პირველადი მონაცემები არის მკვლევარის მიერ შეგროვებული ნედლეული მონაცემები, როგორცაა ინტერვიუები. (Wagenaar, 1992). კვლევაში გამოყენებული იქნა სიღრმისეული ინტერვიუ, გამოკითხულ იქნენ, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენელი, რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები და კონფლიქტურ ტერიტორიებზე მცხოვრები რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლები.

2.4 შერჩევა და რესპონდენტები

შერჩეული რესპონდენტები არიან, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლები, რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენელი და მოქალაქეთა პოზიციების გამოსავლენადნიგვზიანის, წინწყაროს და სამთაწყაროს 12 მაცხოვრებელი, ვინაიდან ამ ტერიტორიებზე დაფიქსირდა რელიგიური შეუმწყნარებლობით მოტივირებული ძალადობის ფაქტები. კვლევამ აჩვენა, ჰეტეროგენული პოპულაციიდან გამომდინარე, უნდა მიგვემართა მიზნობრივი შერჩევის მეთოდისათვის.

სიღრმისეული ინტერვიუს ფუნდამენტური მიზანი იყო, გაგვერკვია რესპონდენტების დეტალური მოსაზრებები საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, მათი აღქმები და დამოკიდებულებები, ამიტომ „როგორ?“ და „რატომ?“ კითხვები ყველაზე ხშირი და სასარგებლო აღმოჩნდა ინტერვიუს ჩატარების პროცესში. მათ ვთხოვეთ დაწვრილებით აეღწერათ ესა თუ ის ემპირიული გამოცდილება თავისი ცხოვრებიდან, და ასევე მისი შთაბეჭდილებებიდან გამომდინარე, მისი რეაქცია სხვადასხვა შემთხვევასთან დაკავშირებით, რომელიც პირდაპირად თუ ირიბათ უკავშირდებოდა მათ ცხოვრებას, ასევე მათ ვთხოვეთ, ჩვენთვის საინტერესო მოვლენების შეფასება. რაც შეეხება ექსპერტებთან პირდაპირ თუ სატელეფონო ინტერვიუს, შევეცადეთ ჩვენთვის მთავარი კითხვები გაგვერკვია და ინტერვიუს მიკერძოება აგვერიდებინა თავიდან.

შესავალში რესპონდენტს გავაცანით ინტერვიუს მიზანი და ამოცანები, ასევე დავარწმუნეთ მისი პასუხების ანონიმურობაში და კონფიდენციალურობის გარანტიაში. ინტერვიუს პროცესში ჩვენი მთავარი მიზანი იყო ინფორმაციის წარმოება კვლევის

თემასთან დაკავშირებით. სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარების მიზნით, ჩვენს მიერ არ მოვამზადდა სტრუქტურირებული კითხვები მაგრამ შედგენილი გვექონდა სავარაუდო კითხვების და მათი სასურველი თანმიმდევრულობის წერილობითი მონახაზი, რომელიც ემყარებოდა განსახილველი თემებისა და საკითხების წინასწარ შესწავლას. წინასწარ შემუშავებული სადისკუსიო გეგმა მნიშვნელოვნად დაგვეხმარა კვლევის პროცესში. პროცესის მსვლელობისას გამოყენებული იქნა ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუების მეთოდი, ინტერვიუს გზამკვლევით და საორიენტაციო კითხვებით. სიღრმისეული ინტერვიუს გამოყენების მოტივი იყო ღია კითხვების ფორმირება, ღია კითხვები არ სთავაზობს რესპოდენტს პასუხის შესაძლო ვარიანტებს, რესპოდენტებს სრული თავისუფლება მიენიჭათ საკუთარი აზრის გამოხატვისას, ჩვენ მაქსიმალურად შევეცადეთ ნეიტრალური დამოკიდებულება შეგვენარჩუნებინა კვლევის პროცესში და არ გვებიძგა მათთვის გარკვეული პასუხებისაკენ. ინტერვიუს პროცესში ჩვენი მხრიდან გამოვლინდა ჭეშმარიტი და გულწრფელი ინტერესი რესპოდენტის ცხოვრებისადმი, რათა ინტერვიუ უფრო წარმატებული შედეგით დასრულებულიყო. აქტიურად იქნა გამოყენებული „ზონდირების“ საშუალებები, რომლის მეშვეობითაც რესპოდენტს ვაძლევდით საშუალებას დაესრულებინა აზრი, რომელიც ბოლომდე არ ქონდა გამოხატული, ან თუნდაც აეხსნა ის, რასაც მხოლოდ გაკვრით შეეხო. რაც უფრო გულახდილი ხდებოდა რესპოდენტი ჩვენთან, მით უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობდით, მოგვიანებით მას არ ენანა ჩვენთან ინტერვიუ.

2.5 კვლევის ლიმიტი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ განხორციელებული პროგრამების ეფექტურობის შეფასება, რომელშიც გამოკვლეულია 2014-2017 წლების საანგარიშო პერიოდის პროგრამები. გამომდინარე იმ დროის გამოწვევებიდან და ასევე გამომდინარე სააგენტოს ამოცანებსა და მიზნიდან, ვინაიდან სააგენტო ახლახანს შეიქმნა ის, მუდმივად ანახლებს პროექტებს, კვლევაში განხილულია მხოლოდ საანგარიშო პერიოდში, ასევე მისი წინა და მომდევნო წლების აქტივობების შემუშავებული და განხორციელებული კვლევების ანალიზი, რაც შეიძლება

არ იძლეოდა მონაცემებს უშუალოდ ამ მომენტში მიმდინარე პროექტების შესახებ, ან თუნდაც დასკვნები შეიძლება ნაკლებად ადაპტირებადია თანამედროვე აქტივობებზე, რომელიც სააგენტოს მიერ ხორციელდება დღეს. ასევე მეორე ლიმიტი იყო რელიგიური შეუმწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ პოლიტიკის განხორციელებასთან იგივე დავების გადაწყვეტის პროგრამასთან დაკავშირებით, ოფიციალური ინფორმაციის გამოთხოვა ვერ მოხერხდა და მეორადი წყაროების დამუშავებით მოპოვებული ინფორმაციით ხელმძღვანელობა გახდა საჭირო, იგივე პროგრამის კვლევისას ვერც ინტერვიუების მეშვეობით შევძელით ადეკვატური ინფორმაციის მოპოვება, ვინაიდან რესპოდენტები ფრთხილ დამოკიდებულებას იჩენდნენ სენსიტიური საკითხის მიმართ.

2.6 ანალიზის ქსელი


რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს პროგრამების შეფასებისას განისაზღვრა შეფასების შინაარსი და შეფასების ელემენტები, მართალია სააგენტოს ოთხივე პროგრამა ხასიათდება ინდივიდუალური სპეციფიკით, თუმცა შეფასების შინაარსი ექვემდებარება საერთო კრიტერიუმებს როგორც ცხრილში არის ნაჩვენები გამოიკვეთა ორი მთავარი კრიტერიუმი: პროგრამის გაგრძელების აუცილებლობა და პროგრამის შესაბამისობა სახელმწიფოს თანამედროვე გამოწვევებთან. შეფასების ელემენტები მოიცავს პროცედურულ ჩარჩოს, რომელსაც კვლევა უნდა მიყვეს, შემდეგ თავში იქნება განხილული თითოეული პროგრამა ინდივიდუალურად.

ცხრილი 3 : ანალიტიკური ქსელი

რსსს პროგრამების ეფექტურობა	
შეფასების შინაარსი	შეფასების ელემენტები
1. პროგრამის გაგრძელების აუცილებლობა	<ul style="list-style-type: none"> პროგრამის სამიზნე ჯგუფის იდენტიფიცირება. პროგრამაში კონტექსტური ელემენტების იდენტიფიცირება და შეფასება.
2. პროგრამის შესაბამისობა სახელმწიფოს თანამედროვე	<ul style="list-style-type: none"> სოციალური, სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩოს

გამოწვევებთან	<p>მახასიათებლების იდენტიფიკაცია, რომელიც გავლენას ახდენს პროგრამაზე.</p> <ul style="list-style-type: none"> • სახელმწიფოში ძირითადი რელიგიური გამოწვევების იდენტიფიციება. • პროგრამაში ჩართული სხვა დაინტერესებული მხარეების აღწერა და მათი კავშირი პროგრამასთან.
---------------	--

ფიგურა 2 : რელიგიის სახელმწიფო სააგენტოს პროგრამები



გამოვლინდა ოთხი ძირითადი **ინდიკატორი**, რომელთა მიხედვითაც შეფასდა, საქართველოში რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს პროგრამები/პოლიტიკა:

- I. საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ნაგებობების გადაცემა (რესტიტუციის პოლიტიკა) , არადომინანტ რელიგიურ ჯგუფებზე ანალოგიური კრიტერიუმით, რომლითაც სარგებლობს დომინანტი რელიგიური ჯგუფი.
- II. არადომინანტი რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსებისას, სახელმწიფოს ჩაურევლობა თანხის განკარგვაში.
- III. მოსახლეობის ინფორმაციით უზრუნველყოფა.

IV. რეკომენდაციების გაცემა, კანონმდებლობის დახვეწასა და მისი აღსრულების გაძლიერებასთან დაკავშირებით, რათა რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული ძალადობის შემთხვევების გამოძიება და დაგმობა განხორციელდეს.

2.7 ცვლადების ოპერაციონალიზაცია

კვლევის ჰიპოთეზიდან გამომდინარე გამოვლინდა ორი მთავარი ცნება, სეკულარული მმართველობა და ეფექტური პროგრამები. კვლევის თანახმად სავსებით შესაძლებელია მათ შორის დადებითი კავშირი გამოვლინდეს. სეკულარული მმართველობაში მოიაზრება, იდენტური უფლებების მინიჭება ყველა რელიგიური ორგანიზაციისათვის, ასევე თანხის განკარგვაში ავტონომიის მინიჭება ან კიდევ, შესაძლო კონფლიქტების თავიდან არიდების ხელშეწყობა, მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება. შესაბამისად ვთვლით, რომ სეკულარული მმართველობა, აღნიშნულ ცნებებს დანერგავს პრაქტიკაში და მიღებული იქნება ეფექტური პროგრამები.

- გადაცემული შენობა-ნაგებობები გაიზომა, უსასყიდლოდ და მუდმივმფლობელობის მინიჭებით.
- დაფინანსების პოლიტიკა შეფასდა, რელიგიურ ჯგუფებისთვის ავტონომიის მინიჭებით (თანხის განკარგვაში ჩაურეველი პოლიტიკის განხორციელებით).
- ინფორმაციით უზრუნველყოფა გაიზომა, იმ აქტივობებით (სახელმძღვანელოს გამოშვება, ტრენინგი, ვიდეო რგოლი) რომელიც მიმართული იყო ცნობიერების ამაღლებისაკენ.
- რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივირებული ძალადობის წინააღმდეგ პოლიტიკის გაზომვა მოხდა, პასუხისმგებელ უწყებებთან თანამშრომლობის საფუძველზე.

პროგრამების ეფექტურობის გაზომვა მოხდება, მეორადი წყაროების დამუშავებისა და ინტერვიურების მეშვეობით მოპოვებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით.

2.7 ქმედითობის გაზომვის ინსტრუმენტები

პროგრამის ეფექტურობა იზომება შედეგების მეშვეობით (Harry Hatry, 1999). შედეგები ზომავს პროექტის ეფექტიანობას მისი გაცხადებული მიზნების მიღწევაში (Geert Bouckaert, 2016).

- სერვისის ხარისხი, სერვისს ხარისხით გაიზომა პროგრამების ასახვა ყოველდღიურ ცხოვრებაზე; დაფინანსების პოლიტიკით მოპოვებული თანხების საკმარისობა გადასახადებთან მიმართებით, თანხის განკარგვაში ჩაურევლობით; რესტიტუციის პოლიტიკის შედეგები გრძელვადიან პერსპექტივაში, მფლობელობის უფლება დაცული იქნება მხოლოდ ამჟამად თუ მუდმივად. ცობიერების ამაღლების პროგრამებში ჩადებული თანხა ამართლებს თუ არა პროგრამის მიზანს; დავების გადაწყვეტის პროგრამები ეფექტურად არის შემუშავებული თუ არა ოპტიმალურ დროის მონაკვეთში.

კვლევა დაეყრდნო რეალისტურ შეფასებას (Realistic Evaluation), კონტექსტი არის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი (Christopher Pollitt, n.d.), რომლის გათვალისწინებაც მოხდა შეფასების პროცესში.

3. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს პროგრამების მიმოხილვა

პროგრამის შეფასება მოხდა ინდივიდუალური მახასიათებლებიდან გამომდინარე, ნაშრომში გამოკვლეულ იქნა ოთხი ძირითადი პროგრამა, რომელიც ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. შესაბამისად პროგრამის სპეციფიკიდან და ასევე სააგენტოს მიზნებიდან გამომდინარე მოხდება მათი ეფექტურობის შეფასება. წინამდებარე დოკუმენტში განხილულია შემდეგი პროგრამები: შენობა-ნაგებობების გადაცემის პოლიტიკის შეფასება; დაფინანსების პოლიტიკის შეფასება; ცნობიერების და ურთიერთცნობადობის ამაღლების პროგრამა დარელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული ძალადობის წინააღმდეგ პოლიტიკის შეფასება. სააგენტო მუდმივად ფართოვდება რეგიონულ ოფისების მეშვეობით, წარმომადგენლობის განვითარებით, მედიასთან ურთიერთობისას ისინი აცხადებენ, რომ (წარმომადგენლობა, 2019) რეგიონის ხაზგასმა მნიშვნელოვანია. რელიგიასა და სახელმწიფო შორის ურთიერთობების გაუმჯობესების უზრუნველყოფისთვის სააგენტო პროექტებს მთელი ქვეყნის მასშტაბით ანხორციელებს.

3.1 შენობა-ნაგებობების გადაცემის პოლიტიკის შეფასება

საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ფაქტობრივ საკუთრებაში აღმოჩნდა საბჭოთა რეჟიმის მიერ რელიგიური თემებისთვის ჩამორთმეული საკულტო შენობა-ნაგებობები. აღნიშნულ თავში შეჯამებულია საანგარიშო პერიოდში საკულტო ნაგებობის რესტიტუციის პოლიტიკა.

2002 წელს გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას საკუთრების უფლებას გადასცემს ტაძრებზე, მონასტრებსა და მიწის ნაკვეთებზე, ამავე დებულების საფუძველზე სახელმწიფომ აიღო რესტიტუციის პოლიტიკის ვალდებულება ეკლესიის მიმართ, რომლის მიხედვითაც საბჭოთა კავშირის პერიოდში ეკლესიისთვის ჩამორთმეული ქონების დაბრუნების ვალდებულებას იღებს (პარლამენტი ს. რ.,

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ, 2002).

კანონში შეტანილი კიდევ ერთი ცვლილების შემდეგ, 2011 წელს სხვა რელიგიური ორგანიზაციებისთვისაც გახდა შესაძლებელი, დარეგისტრირებულიყვნენ როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 2011).

რესტიტუციის პოლიტიკა ამოქმედებულია 4 რელიგიური თემისთვის და იგნორირებულია იეზიდები, ლუთერელები, კრიშნაიტები და სხვები. ამავე დროს აღსანიშნავია ერთი დეტალიც, სახელმწიფო ქონების შესახებ კანონის საფუძველზე, საკუთრებაში სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ გადაცემა მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიისათვის არის შესაძლებელი (საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ, 2010). მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო-ნაგებობების მიმართ მუდმივადმფლობელობაში საკუთრების უფლების აღიარება, მოლოდინს წარმოშობს სხვა რელიგიურ თემებშიც, რომ მოხდება ანალოგიურად მათი საკუთრების უფლების ცნობაც. მართალია, სრულიად საქართველოს მუსლიმთა კავშირის წარმომადგენელთან გასაუბრებისას, მათ ამ საკითხთან დაკავშირებით უარყოფითი ტენდენცია არ გამოავლინეს, თუმცა სეკულარული მმართველობის პრინციპების გათვალისწინებით მსგავსი ტენდენცია არ არის ლეგიტიმური.

მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრების უფლების აღიარება და რესტიტუციის პოლიტიკის მხოლოდ მის მიმართ განხორციელება, უსასყიდლოდ შენობა-ნაგებობების გადაცემით სხვა რელიგიური ორგანიზაციების შემთხვევაში კი, დროებით მფლობელობის მინიჭებით, იშვიათ გამონაკლის შემთხვევაში კი მუდმივმფლობელობის მინიჭებით პრობლემას მნიშვნელოვნად ამწვავებს. პრობლემის სრული იგნორირება, საკითხის შესწავლაზე უარი, უსამართლობის საფუძველს ქმნის და სხვა რელიგიური ორგანიზაციების მიმართ დისკრიმინაციულია.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან

არსებული რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისიის ექვსი სხდომა, რომლებზეც სულ განხილული იყო 232 საკითხი (რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, 2015).

კომისიის გადაწყვეტილებას არ აქვს სავალდებულო ხასიათი. კომისია საკითხის შესწავლის შემდეგ, შესაბამის ორგანოსთვის ამზადებს რეკომენდაციას, რომლის საფუძველზეც, შესაბამისი უწყება იღებს გადაწყვეტილებას საკულტო შენობა-ნაგებობის ამა თუ იმ რელიგიური თემისთვის გადაცემასთან დაკავშირებით. კომისია რელიგიური ორგანიზაციებისთვის საკულტო ნაგებობების დაბრუნების საკითხს პროაქტიულად არ განიხილავს და ამასთანავე საკითხის განხილვისთვის აუცილებელია რელიგიური თემებისა და გაერთიანებების მიმართვა ქონების გადაცემის მოთხოვნით (რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, 2014).

ცხრილი 4 : კომისიის მიერ განხილული სხდომები

რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
მართლმადიდებელი ეკლესია	42	27	10	6
მუსლიმი თემი	17	17		
იუდაური თემი	3	3		

რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
მართლმადიდებელი ეკლესია	57	27	16	7
მუსლიმი თემი	6	6		
იუდაური თემი	3	3		

რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
მართლმადიდებელი ეკლესია	12	9	2	1
მუსლიმი თემი	8	8		
იუდაური თემი	2	2		
საქართველოსევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია	1	1		

რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
მართლმადიდებელი ეკლესია	30	13	13	4
იუდაური თემი	2	2		

რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
მართლმადიდებელი ეკლესია	39	26	8	5
მუსლიმი თემი	5	5		

რელიგიური თემი	სუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
მართლმადიდებელი ეკლესია	4	4		

წყარო: (რელიგიურ საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, 2015. გვ. 4-5)

ერთი შეხედვით სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია, ზედაპირულად დამაკმაყოფილებელია, რომ არ არსებობდეს სამართლებრივი ხარვეზები, ერთი მხრივ საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზარალი უცნობია და მეორე მხრივ, ამ პროგრამით მხოლოდ 4 რელიგიური თემი სარგებლობს, ასევე მართლმადიდებელი ეკლესია უსასყიდლოდ, მუდმივმფლობელობაში იღებს შენობა-ნაგებობებს, მაშინ როდესაც დანარჩენ ოთხ თემს დროებითი მფლობელობა ენიჭება.

მუსლიმ თემს დაუბრუნდა 170 მეჩეთი საქართველოს მასშტაბით (როგორც, შიიტური ასევე სუნიტური), იუდეურთემს 20 სინაგოგა, ევანგელურ-პროტესტანტულ ეკლესიას 2 ეკლესია ასევე, ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიას, საქართველოს იეზიდურ თემს და საქართველოში არსებულ სხვარელიგიურ ორგანიზაციებს დაუბრუნდათ საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო ნაგებობები(რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, 2018), თუმცა არა მუდმივმფლობელობაში, არამედ დროებით 49 წლის ვადით მფლობელობაში.

3.1.1 რესტიტუციის პოლიტიკის შედეგები და განსჯა

ეს თავი წარმოადგენს ინტერვიუს მეშვეობით შეგროვებულ მონაცემებს და სხვა

დოკუმენტების ანალიზს, აღებულს საანგარიშო პერიოდის მანძილზე. თითოეული პროგრამის ანალიზი დაეყრდნო ასევე თეორიულ ჩარჩოს.

ცვლილების თეორიის საფუძველზე მოხდა პროგრამის გრძელვადიანი მიზნის იდენტიფიცირება, რომელიც არის, რელიგიური თემისათვის იგივე პრივილეგიის მინიჭება, რათა სახელმწიფომ სეკულარული მმართველობის პირობებში იფუნქციონიროს. შემდგომ თეორიის თანახმად განისაზღვრა წინაპირობები, რომელიც აუცილებელია მიზნის მისაღწევად, სააგენტოს მიერ უნდა ჩატარებულიყო ექსპერტიზა და კვლევა, სააგენტომ საქართველოში მხოლოდ 5 თემი უზრუნველყო პრივილეგიებით, და აქაც არის გარკვეული უკმაყოფილება სამართლებრივი თვალსაზრისით. ის ფაქტი რომ დანარჩენი ორგანიზაციებიც არ სარგებლობენ მსგავსი პრივილეგიებით, მიზანი განხორციელებულად არ ჩაითვლება. უმთავრესი წინაპირობა არის, რსსს მიერ ჩატარებული ექსპერტიზა და გამოკვლევა რათა ზუსტად დადგენილიყო ზარალის ოდენობა. ამ ყოველივეს განსაზღვრის შემდეგ გადავინაცვლეთ ლოგიკურ ჩარჩოში, რომელიც ორ მთავარ შეკითხვას პასუხობს:

I. იქნა მიღწეული პროგრამის მიზანი?

პროგრამის მიზანი ვერ იქნა მიღწეული რადგან ყველა რელიგიური თემი არ სარგებლობს პროგრამით, ასევე ხუთივე ორგანიზაცია არ არის თანაბარ პირობებში მოქცეული. მართლმადიდებელი ეკლესია შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფება, 2001 წელს გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების თანახმად, წლების მანძილზე ძალაუფლების მოხვეჭა შეძლო. ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ მუსლიმი თემი შენობა-ნაგებობებს 49 წლის ვადით იღებს დროებით მფლობელობაში.

II. პროგრამის მიზნის მიღწევის საშუალება იყო შესაბამისი პროგრამის ამოცანებთან?

დაუანგარიშებელი ზარალი და სურვილისამებრ პოლიტიკის განხორციელება ხელს უშლის პროგრამის მიზნის მიღწევას. პირველი უმნიშვნელოვანესი ქმედება, რომელიც ლეგიტიმურს გახდიდა სააგენტოს პროგრამებს არ იქნა განხორციელებული შესაბამისად თეორიული ჩარჩოს ეს კითხვაც არ არის დაკმაყოფილებული.

(Data Triangulation) მეთოდის გამოყენებით, ინფორმაციის დამუშავება ხდება სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვით კვლევის პროცესში. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა შემდეგი შეხედულებები:

დაინტერესებული მხარეები:

✓ რელიგიურ საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

რსსს თვლის, რომ კონკრეტულ პროგრამას, ანხორციელებს სართლიანი წესით. 2016-2017 წლების ანგარიშში, როგორც წარმოდგენილია ცხრილში, ანხორციელებს გარკვეული განცხადებების დაკმაყოფილებას, თუმცა როგორც უკვე ბევრჯერ ავლნიშნეთ, მფლობელობის დროებით მინიჭება არის მთავარი დარღვევა, მიზნის მიღწევის გზა არ არის დასახული და საკმაოდ ბუნდოვანია, რაც ლეგიტიმურ ვარაუდს წარმოქმნის, ეჭვი შევიტანოთ პროგრამის არსშიც. შესაძლოა პროგრამა განხორციელდა რათა გადაფარულიყო 2001 წელს მიღებული კონსტიტუციური შეთანხმება, რომლის თანახმად საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მთელი რიგი პრივილეგიები ენიჭებოდა.

✓ რელიგიური თემების წარმომადგენლები

რელიგიური თემები კმაყოფილებას გამოხატავენ, ვინაიდან ყავთ წარმომადგენლობა და იციან ვის უნდა მიაკითხოთ, ეს მათთვის მნიშვნელოვანი მონაპოვარია. ერთადერთი საკითხი, რომელიც მათ სურთ მოაგვარონ ეს არის საგადასახადო შეღავათები და კომუნალური გადასახადები.

✓ რელიგიური უმცირესობები

რელიგიური უმცირესობებისთვის შენობა-ნაგებობების დაბრუნება და ახალი ნაგებობების აშენების პოლიტიკა მნიშვნელოვანი და სენსიტიური საკითხია, ვინაიდან კონფლიქტები, რომელიც აქამდე გახმაურდა სწორედ ამ საკითხს უკავშირდებოდა. მუსლიმი თემი ამ მხრივ შედარებით უკეთეს პირობებში იმყოფება და განცხადებების უმეტესი ნაწილი დაკმაყოფილებულია, სავარაუდოდ გამომდინარე საკითხის აქტუალურობიდან, დანარჩენი რელიგიური თემები ნაკლებ კმაყოფილებას გამოხატავენ, მათ გააჩნიათ ლეგიტიმური უფლება, მოითხოვონ ის რაც მათთვის უფრო სასურველია.

შენობა-ნაგებობების გადაცემის პოლიტიკის შეფასებისას, მეორადი წყაროების გაცნობისა და დამუშავების შემდგომ, ასევე ინტერვიუს შედეგად მოპოვებული ინფორმაციების საფუძველზე, გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები, რესტიტუციის პოლიტიკა არ აკმაყოფილებს სეკულარიზმის პრინციპებს, ვინაიდან ერთი უმნიშვნელოვანესი დარღვევა გამოვლინდა, სახელმწიფო საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას უსასყიდლოდ, მუდმივ მფლობელობაში გადასცემს შენობა-ნაგებობებს, ხოლო დანარჩენ ოთხ რელიგიურ ორგანიზაციას, თემს დროებით მფლობელობაში გადასცემს ნაგებობებს, სხვა ორგანიზაციები კი სრულ იგნორირებას განიცდიან. სააგენტო იქვე სძენს, რომ სახელმწიფო უვლის და პატრონობს გადაცემულ შენობა-ნაგებობებს (რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, 2018). რაც თითქოსდა ლეგიტიმურს ხდის სააგენტოს პოლიტიკას.

ცხრილში განხილულია მთავარი კითხვა შენობა-ნაგებობების გადაცემის პოლიტიკასთან დაკავშირებით, რამდენად უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ ყველა რელიგიური ჯგუფისთვის თანაბარი სამართლებრივი საყრდენი, რესტიტუციის პოლიტიკის განხორციელებასთან მიმართებით.

სამართლებრივი დოკუმენტების ასევე მოკვლეული მასალების ანალიზის განხორციელების შემდეგ დასკვნა შემდეგია, რსსს ანხორციელებს დისკრიმინაციულ პოლიტიკას, რომელსაც ამყარებს ხელშეკრულებებით, რომელის კვალობაზეც სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ყველა რელიგიურ ორგანიზაციას თანაბარი პირობებით.

ცხრილი 5 : შენობა-ნაგებობების გადაცემის პოლიტიკის შეფასების ფორმა

პროგრამა	საკითხები	შეფასების კითხვა
შენობა-ნაგებობების გადაცემის პოლიტიკა.	<ul style="list-style-type: none"> ✓ პროგრამის შესაბამისობა სეკულარული მმართველობის პრინციპებთან. ✓ პროგრამის შესაბამისობა პლურალური 	<ul style="list-style-type: none"> ✓ რამდენად თანაბარი პირობებით აქვს უზრუნველყოფილი სახელმწიფოს ყველა რელიგიური ორგანიზაცია სამართლებრივი თვალსაზრისით?

	სახელმწიფოს პრინციპებთან.	✓ რამდენად შეესაბამება რესტიტუციის პოლიტიკა სეკულარულ მმართველობას?
--	------------------------------	--

ცხრილი 5 ასახავს იმ მნიშვნელოვან შეკითხვებს და საკითხებს, რომლის გათვალისწინებაც იყო მნიშვნელოვანი კვლევის პროცესში.

ცხრილი 6 : რესტიტუციის პოლიტიკის ანალიტიკური ქსელი

პროგრამა	ინდიკატორი	საკვლევი კითხვა
რესტიტუციის პოლიტიკა	მუდმივფლობელობის მინიჭება.	რამდენად აქვთ უზრუნველყოფილი ყველა რელიგიურ ორგანიზაციას მუდმივფლობელობის უფლება.
	თანაბარი პრივილეგიებით სარგებლობა.	რამდენად სარგებლობს ყველა ორგანიზაცია რესტიტუციის პოლიტიკის ფარგლებში თანაბარი პრივილეგიებით

ცხრილში მოხსენიებული ინდიკატორით და საკვლევის კითხვის დახმარებით მოხდა რესტიტუციის პოლიტიკის ეფექტურობის გაზომვა და შეფასება.

ბოლოს, შედარებისთვის აუცილებელია კვლევაში ვახსენოთ, მშენებლობის ნებართვის პოლიტიკაც. სააგენტოს დაარსების შემდეგ საკულტო ნაგებობების მშენებლობაზე ნებართვის გაცემის გამოცდილებამ აჩვენა, რომ სააგენტოსთვის აღნიშნულმა უფლებამოსილების მინიჭებამ, დაბნეულობა და გაუგებრობა დანერგა იმ სახელმწიფო ორგანოებში, რომელიც მშენებლობაზე გასცემს ნებართვას.

ადგილობრივი თვითმმართველობები რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს

პოზიციის დაფიქსირებას ელოდებიან ნებართვის თითოეული ფაზაზე , მათ შორის, ქალაქგეგმარებით და სხვა ისეთ საკითხებზე, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებას განეკუთვნება.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტში, სააგენტო აღნიშნავს, რომ აუცილებელია საკულტო ნაგებობების მშენებლობისთვის განკუთვნილი კანონმდებლობა, რომელმაც რელიგიურ თემებს საკულტო ნაგებობების მშენებლობის პროცესში განსაზღვრული და სტაბილური გარემო უნდა უზრუნველყოს (მთავრობა, 2015). თუმცა ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სპეციალური რეგლამენტირება ურთიერთობების შეზღუდვას გამოიწვევს. რელიგიური თემების წარმომადგენლებთან გასაუბრების შემდეგ, გაირკვა რომ მათ სურთ შეიქმნას რელიგიის შესახებ კანონი, რომელიც მათ უფლებებს სამართლებრივად დაარეგულირებს და განსაზღვრავს.

3.2 დაფინანსების პოლიტიკის შეფასება

პროგრამის შეფასების მიზანია, სახელმწიფოს მიერ რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პრაქტიკის შესწავლა და მიმოხილვა, მათი სამართლებრივი ანალიზი და მიმდინარე პოლიტიკურ, ისტორიულ და სოციალურ პროცესებთან დაფინანსების პრაქტიკის შესაძლო ურთიერთმიმართების გამოვლენა, ასევე მნიშვნელოვანია შეფასდეს ამ დაფინანსების პროგრამის შესაბამისობა სეკულარიზმის და თანაბრობის პრინციპის თვალსაზრისით. წინამდებარე კვლევა შეისწავლის 2016-2017 წლებში გაცემული თანხების პრაქტიკას. საქართველოს მთავრობამ 2014 წელს მიიღო დადგენილება საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისთვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დრო მიყენებული ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურებასთან დაკავშირებით (საქართველოს მთავრობის დადგენილება, 2014). სწორედ 2014 წლიდან დაიწყო სახელმწიფოს მიერ რამოდენიმე რელიგიური ორგანიზაციისთვის თანხის გადაცემა, მანამდე 2002 წლის საკონსტიტუციო ხელშეკრულების თანახმად ეს პრივილეგია მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიას ენიჭებოდა. ოთხი თემის დაფინანსება გადაწყდა ბუნდოვანი კრიტერიუმებით, ასევე დიდი ზიანი და დანაკლისი მიადგათ საქართველოში არსებულ სხვა რელიგიურ

ორგანიზაციებს, ლუთერული ეკლესია, სახარების რწმენის ეკლესია, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია და სხვა დენომინაციები. რელიგიური ორგანიზაციების/თემების შერჩევა, წინასწარ განსაზღვრული და ჩამოყალიბებული, ობიექტური კრიტერიუმების შეფასებისა და კვლევის წარმოების გარეშე მოხდა. საქართველოში არსებული მოდელი სახელმწიფოს რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის ავტონომიაში ჩარევის შესაძლებლობას აძლევს და ასევე ხაზს უსვამს დაფინანსების პროგრამაში პოლიტიკური ინტერესების უპირატესობას და პრევალირებას. იმ გარემოებას, რომ ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსება, ხორციელდება პირდაპირი სუბსიდირების და არა ზიანის ანაზღაურების წესით, რომელიც უფრო შეეფერება სამართლებრივ ჩარჩოს, ასევე ადასტურებს დაფინანსების მოქმედ სისტემაზე საქართველოს მთავრობის განმარტებაც. საქართველოს მთავრობის თანახმად 4 რელიგიური გაერთიანების დაფინანსება არ უნდა ჩაითვალოს მიყენებული ზიანისთვის კომპენსაციად ან რესტიტუციად, ვინაიდან ეს არის სიმბოლური დატვირთვის მატარებელი, განპირობებული იმ გარემოებიდან, რომ საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პერიოდში მიყენებული ზარალი უცნობია (საქართველოს მთავრობის დადგენილება, 2014).

ცხრილი 7 : სააგენტოს მიერ 2014-2017 წლებში დაფინანსებული თემები

	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	სულ
მუსლიმი თემი	1 100.000	2 200.000	2 750.000	2 750.000	8 800.000
რომაულ-კათოლიკური თემი	200.000	400.000	550.000	550.000	1 700.000
სომხური სამოციქულო თემი	300.000	600.000	800.000	800.000	2 500.000
იუდეური თემი	150.000	300.000	400.000	400.000	1 250.000
სულ	1 750.000	3 500.000	4 500.000	4 500.000	14 250. 000

წყარო: (რელიგიურ საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, 2018)

დაფინანსების პოლიტიკის ამსახველი ცხრილი ცხადყოფს, რომ დაფინანსება გადაეცემათ მხოლოდ ოთხ თემს ასევე მართმადიდებელ ეკლესიას. აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებელი ეკლესია თანხას სურვილისამებრ განკარგავს, ხოლო დანარჩენი თემები ვალდებულნი არიან გააფორმონ ინდივიდუალური ხელშეკრულებები რელიგიის საითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან და თანხა განკარგონ ისე, როგორც რსსს აქვს ჩაფიქრებული და დაგეგმილი.

3.2.1 დაფინანსების პოლიტიკის შედეგები და განსჯა

მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება დაკავშირებულია საბჭოთა პერიოდში მიყენებულ ზიანთან. ოთხ რელიგიურ ორგანიზაციასთან გაფორმებულ ხელშეკრულების თანახმად, ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში, რელიგიური გაერთიანებებს ვალდებულება ეკისრებათ, სააგენტოს წარუდგინონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების ხარჯთაღრიცხვის პროგრამა, ეს უკანასკნელი კი საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან მიმართებით არ ვრცელდება (რელიგიური დისკრიმინაციისა და კონსტიტუციური სეკულარიზმის კვლევა საქართველოში, 2014).

მეორადი წყაროების კვლევის პროცესში შემოთაღნიშნული კვლევების შემაჯამებელ დასკვნებში იკვეთებოდა საერთო ტენდენცია, მათი განცხადებით დაფინანსების მოდელი არის სავსებით დისკრიმინაციულია, ვინაიდან იგი არ მოიცავს იმ რელიგიურ გაერთიანებებს, რომლებსაც საბჭოთა რეჟიმის დროს ანალოგიურად, მათაც მიადგათ ზიანი.

ცხრილი 8 : დაფინანსების პოლიტიკის შეფასების ფორმა

პროგრამა	საკითხები	შეფასების კითხვა
დაფინანსების პოლიტიკა.	პროგრამის შესაბამისობა პლურალიზმის პრინციპთან.	<ul style="list-style-type: none"> • რამდენად არის სააგენტო (სახელმწიფო) მზად არ ჩაერიოს თანხის განკარგვაში? • რამდენად შეესაბამება სუბსიდირების პრინციპი ყველა რელიგიური ორგანიზაციის თანაბარ პირობებში მოქცევას?

ცვლილების თეორიის საფუძველზე მოხდა პროგრამის გრძელვადიანი მიზნის იდენტიფიცირება, საბჭოთა პერიოდში ზიანის ანაზღაურება, სეკულარიზმის პრინციპიდან გამომდინარე. დაფინანსების პოლიტიკა სეკულარიზმის პრინციპიდან გამომდინარე გულისხმობს, გადაცემული თანხის განკარგვაში ჩაურევლად. რასაც

სახელმწიფო სააგენტოს მეშვეობით ვერ ახორციელებს. შემდგომი თეორიის თანახმად განისაზღვრა წინაპირობები, რომელიც აუცილებელია მიზნის მისაღწევად, რსსს მიერ ზარალის დაანგარიშება და შესაბამისად პროგრამის მიმართულებების დაგეგმვა. ამ ყოველივეს განსაზღვრის შემდეგ გადავინაცვლეთ ლოგიკურ ჩარჩოს ანალიზზე.

I. იქნა მიღწეული პროგრამის მიზანი?

სახელმწიფო თანხას გადასცემს რელიგიურ უმცირესობებს, თუმცა არა სეკულარული პრინციპებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა რამოდენიმე დარღვევა:

- ✚ სააგენტო, დაფინანსების პოლიტიკას ახორციელებს ინდივიდუალური პრინციპით, ამასთან დაკავშირებით ქართველ მუსლიმთა კავშირის წარმომადგენლი აღნიშნავს, რომ საწინააღმდეგო არაფერი აქვს, თუმცა სეკულარული მმართველობის პრინციპების გათვალისწინებით მსგავსი ტენდენცია მართლმადიდებელი ეკლესიის მონოპოლიას უწყობს ხელს.
- ✚ სახელმწიფო/სააგენტო არეგულირებს თანხის განკარგვას ოთხ რელიგიურ თემზე, მაშინ როდესაც მართლმადიდებელ ეკლესიას ენიჭება ავტონომია.

II. პროგრამის მიზნის მიღწევის საშუალება იყო შესაბამისი პროგრამის ამოცანებთან?

ინდივიდუალური ხელშეკრულებების გაფორმება ოთხ რელიგიურ გაერთიანებასთან და დაუდგენელი ზარალის ოდენობის მაჩვენებელი უარყოფითად აისახება პროგრამის ეფექტურობაზე.

- ✚ თანხის გაცემისას, ოთხმა რელიგიურმა თემმა ხარჯთაღრიცხვა უნდა წარუდგინონ სააგენტოს, ხოლო მართლმადიდებელი ეკლესია მსგავს პროცედურას არ გადის.
- ✚ ბერკეტი, რომელიც თანხის განკარგვაზე იქნა შემონახული არღვევს სეკულარიზმის და პლურალიზმის პრინციპებს.

ცხრილი 9 : დაფინანსების პოლიტიკის ანალიტიკური ქსელი

პროგრამა	ინდიკატორი	საკვლევი კითხვა
დაფინანსების პროგრამა	ფინანსების განკარგვის თავისუფლების მინიჭება.	რამდენად უზრუნველყოფილია ყველა რელიგიური ორგანიზაცია დაფინანსების პოლიტიკის შედეგად მიღებული თანხების განკარგვაში?
	თანხების საკმარისობა სახელმწიფო გადასახადებთან შეფარდებით	რამდენად ოპტიმალურია დაფინანსების გადანაწილება თემებზე და ყოფნით თუ არა მათ ეს თანხა გადასახადების გაბათილებაში?

კვლევის პროცესში, პროგრამის ეფექტურობის განსაზღვრაში მნიშვნელოვანი იყო ინდიკატორისა და საკვლევი კითხვების განსაზღვრა.

(Data Triangulation) მეთოდის გამოყენებით, დამუშავდამოპოვებული მონაცემები. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა შემდეგი შეხედულებები:

დაინტერესებული მხარეები:

- ✓ რელიგიურ საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

რსსს მიაჩნია, რომ თანხას გასცემს ორგანიზაციების საჭიროებებიდან გამომდინარე, ეს ფრაზა ერთი შეხედვით სამართლიანად ჟღერს, თუმცა ის ფაქტი, რომ მართლმადიდებელი ორგანიზაცია ფლობს უპირატესობას, და ის, რომ მასსაგადასახადო პრივილეგიები ენიჭება, ლეგიტიმურ ეჭვს ბადებს პროგრამის ეფექტურობის შეფასების პროცესში.

- ✓ რელიგიური თემების წარმომადგენლები


რელიგიური თემების წარმომადგენლები, ითვალისწინებენ რა იმ მდგომარეობას

რომელშიც 2001-1011 წლებში იმყოფებოდნენ, დადებითად ახასიათებენ რსსს დაფინანსების პოლიტიკას. ასევე ისინი სძენენ, რომ საწინააღმდეგო არაფერი აქვთ იმ ვალდებულებასთან, რომლის თანახმადაც მათ უწევთ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარუდგინონ ანგარიში, თუმცა ისურვებდნენ მათ გადაეცეთ მეტი სახსრები რათა აკისრიათ უამრავი კომუნალური გადასახადი, რომლის გადახდაც მართლმადიდებელ ეკლესიას არ ევალება.

3.3 ცნობიერების და ურთიერთცნობადობის ამაღლების პროგრამა

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ შეიმუშავა რელიგიური რუკები, როგორც სააგენტოს წარმომადგენლები აცხადებენ, სააგენტოს მიაჩნია, რომ რელიგიური ფაქტორების მართებული გააზრება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ამ სფეროში თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და ხელს შეუწყობს იმ ამოსავალი პრინციპების განხორციელებას, რომლებმაც უნდა განამტკიცონ დემოკრატიული და გამჭირვალე გარემოს ჩამოყალიბება რელიგიის სფეროში(რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, 2018). რელიგიის საკითხთ სახელმწიფო სააგენტომ შეიმუშავა რამოდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, რომლის განხილვაც და ეფექტურობის შეფასება არის უადრესად მნიშვნელოვანი.

ფიგურა 3 : რელიგიური რუკები



წყარო: (რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო , 2019)

რეგიონული, რაიონული და საკულტო ნაგებობათა რუკის მომზადების კონცეპცია

მიზნად ისახავს ყველა დაინტერესებულ უწყებას, რელიგიურ ორგანიზაციას თუ სახელმწიფოს ხელი შეუწყოს სასურველი ინფორმაციის სწრაფად მოპოვებაში. რსსს 2014 წელს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემების შედეგად შეჯამებულ მონაცემებზე დაყრდნობით მოამზადა რელიგიური რუკის ვარიანტი, ასევე პროექტის განხორციელების მიზნით ერთობლივი სამუშაო შეხვედრები რელიგიურ ორგანიზაციებთან რეგიონებში და რაიონებში (რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, 2018). რელიგიური რუკები პრაქტიკულ ინფორმაციას იძლევა რელიგიურ უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებზე. სააგენტოს მიერ ჩატარდა კონფერენცია, რომელიც საქართველოში მცხოვრებ ყველა რელიგიურ თემს წარუდგინეს რუკები და კალებდარი (ციხელაშვილი, 2018).


ფიგურა 4 : საქართველოში მოქმედი საკულტო ნაგებობები



წყარო: (რელიგიურ საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, 2019)

რაც შეეხება მეორე პროექტს კალენდრის შექმნას, იგი მოიცავს სხვადასხვა რელიგიური თემების დღესასწაულებს, სააგენტოს თქმით პროექტის მიზანია განსხვავებულ რელიგიურ ჯგუფებს შორის ურთიერთცნობადობის გაღრმავება და ინტერრელიგიური კულტურის განვითარების ხელშეწყობა. მსგავსი ტენდენცია არამარტო ინფორმაციას ხდის მარტივად ხელმისაწვდომს, არამედ რელიგიურ თემებს შესაძლებლობა ეძლევათ ერთად იქნენ მოხსენიებულნი საერთო კალენდარში, რაც რასაკვირველია პლურალურ გარემოს შექმნას უწყობს ხელს.

ფიგურა 5 : რელიგიური კალენდარი



წყარო: (რელიგიურ საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, 2019)

ცნობიერების ამალღების მიზნით, გაიმართა კონფერენციები „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისთვის“. ინტერრელიგიური დიალოგი არის განსხვავებული რწმენის ადამიანთა ურთიერთობის ჰუმანური ფორმა, თავის ერთ-ერთ მთავარ მიზნად ისახავსადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების დაცვასა და ღვთის ცნებებზე დაფუძნებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დანერგვას (პაატა გერგაია, 2016).

ასევე შეიქმნა სახელმძღვანელო სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი საჯარო სამსახურში (ზაზა ვაშაყმაძე, 2016). სახელმძღვანელო შედეგბა შემდეგი თავებისაგან: სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, მრავალფეროვნება და შემწყნარებლობა, კანონის წინაშე თანასწორობა და არადისკრიმინაციული გარემო, ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებობა. (ზაზა ვაშაყმაძე, 2016).

ამავე დროს კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობასთან პარტნიორობით 2015 წელს მომზადდა პროექტი საჯარომოხელეების ცნობიერების ამალღება რელიგიური ნეიტრალიტეტისა და სეკულარიზმის საკითხებზე, (ზაზა ვაშაყმაძე, 2016). აქტივობის შედეგების გასარკვევად ინტერვიუები ჩატრდა საქართველოს სამ მინიციპალიტეტში, რათა გაგვერკვია მათი დამოკიდებულებები პროგრამის მიმართ. საქართველო, როგორც თანამედროვე

დემოკრატიული სახელმწიფო, წარმოადგენს ქვეყნის მთლიან მოსახლეობას, მისი მრავალფეროვანი შემადგენლობით და თითოეულ მოქალაქეს წარმოადგენს საკუთარი რელიგიური იდენტობით. ამდენად, ნებისმიერი საჯარო მოხელე უნდა აცნობიერებდეს, რომ საქართველოს მოქალაქესთან ურთიერთობისას საკუთარი თანამდებობრივი სტატუსით წარმოადგენს მთლიან სახელმწიფოს, ანუ მასში მცხოვრებ ყველა რელიგიურ თემს და რელიგიურ კონფესიას შესაბამისად, ნებისმიერი სახის რელიგიური მიკერძოებულობით და პოზიციის დაფიქსირებით, საჯარო მოხელე სახელმწიფოს და მისი მრავალფეროვანი საზოგადოების ერთიანობის პრინციპს ხელყოფს (ზაზა ვაშაყმაძე, 2016).

პროექტი ითვალისწინებს სათანადო კომპეტენციის მქონე ექსპერტების მონაწილეობით სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას ადგილობრივი მუნიციპალიტეტების, გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან საქართველოს მასშტაბით. სამუშაო შეხვედრები - რელიგიური ტოლერანტობა და სეკულარიზმი, მოიცავს სასემინარო და სადისკუსიო ფორმატს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, ტოლერანტობის კონცეფციისა და სეკულარიზმის კონცეფციის ირგვლივ (რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, 2018). პროექტის დასკვნით ეტაპზე მომზადდა და გამოიცა პუბლიკაცია „საჯარო მოხელის სახელმძღვანელო - სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი საჯარო უწყებაში“. პროექტში მონაწილეობა მიიღო სულ ორასზე მეტმა საჯარო მოხელემ მთელი საქართველოს მასშტაბით, ყველა შესაბამისი ადგილობრივი, სამხარეო და აჭარისა/რ-ს ორგანოდან (რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, 2018). ცნობიერების და ურთიერთცნობადობის ამაღლების პროგრამების ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი ინდიკატორები:

- საზოგადოების და/ან საჯარო მოხელეების ინფორმირება სისხლის სამართლის იმ მუხლებზე, რომლებიც რელიგიური შეუმწარებლობის ნიადაგზე ჩადენილ ქმედებათა დასჯის შესაძლებლობას უზრუნველყოფს.
- მუნიციპალიტეტებში მომუშავე მოხელეებზე, სამართალდამცავ ორგანოთა მოხელეთა ტრენინგების ინტენსივობა.

3.3.1 ცნობიერების და ურთიერთცნობადობის ამაღლების პროგრამის შეფასების შედეგები და განსჯა

ცხრილი 10 : ცნობიერების ამაღლების პროგრამის შეფასების ფორმა

პროგრამა	საკითხები	შეფასების კითხვა
ცნობიერების და ურთიერთცნობადობის ამაღლების პროგრამა.	1. პროგრამის შესაბამისობა სახელმწიფოს თანამედროვე გამოწვევებთან. 2. პროგრამის შესაბამისობა სეკულარიზმის პრინციპებთან.	რა საშუალებებით ანხორციელებს რელიგიურ საკითხთა სახელმწიფო სააგენტო მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფას და პლურალური გარემოს ხელშეწყობას?

წინამდებარე დოკუმენტში უკვე განიხილა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ განხორციელებული ორი პროგრამა, რესტიტუციის პოლიტიკა და დაფინანსების პროგრამა, რომელიც არ პასუხობს სეკულარული და პლურალური სახელმწიფოს პრინციპებს, თუმცა კვლევამ აჩვენა, რომ ცნობიერების და ურთიერთცნობადობის ამაღლების პროგრამა მოიცავს 3 აქტივობას, ამ სამიაქტივობიდან პოზიტიურად იქნა შეფასებული რელიგიური რუკებისა და კალენდრების პროგრამა, ხოლო სახელმძღვანელოს კონტენტ ანალიზი და ტრენინგები ნეგატიურად იქნა შეფასებული, ზემოთ აღნიშნული ინდიკატორებიდან გამომდინარე, ტრენინგების კონტენტ ანალიზის საფუძველზე შემდეგი ინდიკატორების გაზომვის კვალობაზე მივიღეთ უარყოფითი მაჩვენებელი:

საზოგადოების და/ან საჯარო მოხელეების ინფორმირება სისხლის სამართლის იმ მუხლებზე, რომლებიც რელიგიური შეუმწნარებლობის ნიადაგზე ჩადენილ ქმედებათა დასჯის შესაძლებლობას უზრუნველყოფს არის მიზნის მიღწევის საშუალება, რომლითაც ეს აქტივობა შესაძლოა ყოფილიყო წარმატებული.

რელიგიათა შორის დიალოგს უნდა მიეცეს სისტემური ხასიათი. წლიდან წლამდე, ხოლო კონფერენციების არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ მაღალი სასულიერო

იერარქებით და მონაწილეობას უნდა იღებდნენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებიც.

ფიგურა 6 : სამი აქტივობის შეჯამება



ცვლილების თეორიის დამუშავების საფუძველზე მოხდა პროგრამის გრძელვადიანი მიზნის იდენტიფიცირება, ცნობადობის ამაღლების მეშვეობით, მეგობრული ურთიერთობების განმტკიცება, ასევე ურთიერთცნობადობის გაზრდა, სტატისტიკური მონაცემების ასახვა, რომელიც ხელმისაწვდომს გახდის ინფორმაციას, რომლის მოძიებაც გარკვეულწილად მანამდე დაპრკოლებას ქმნიდა, ამ უკანასკნელი პრობლემის მოგვარება რელიგიური კალენდრების გამოშვების მეშვეობით იქნა მოგვაებული. ასევე თეორიის თანახმად განისაზღვრა წინაპირობები, რომელიც აუცილებელია მიზნის მისაღწევად, რსსს მიერ ინფორმაციის დამუშავება ექსპერტებთან თანამშრომლობით არის უდავოდ კარგი მიდგომა, რათა ცდომილება პროგრამის განხორციელებაში მაქსიმალურად ყოფილიყო შემცირებული. ამ ყოველივეს განსაზღვრის შემდეგ გადავინაცვლეთ ლოგიკურ ჩარჩოს სქემის მთავარი კითხვების ჩამოყალბებაზე და პასუხი გაეცა კვლავ იმავე მთავარ შეკითხვებს:

III. იქნა მიღწეული პროგრამის მიზანი?

ვინაიდან ეს პროგრამა სამ ინდივიდუალურ აქტივობას მოიცავდა შეიძლება ითქვას, რომ წარმატებით განხორციელებული ერთი აქტივობის მიუხედავად, საბოლოო მიზანი ვერ განხორციელდა, ჩამოყალიბებული ინდიკატორების საფუძველზე გაირკვა, რომ საზოგადოების ან საჯარო მოხელეების ინფორმირება სისხლის სამართლის იმ მუხლებზე, რომელიც რელიგიურ შეუმწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილ ქმედებათა

დასჯის შესაძლებლობას უზრუნველყოფს არ დაფიქსირდა, რაც პროგრამის ეფექტურობას ასუსტებს. შესაბამისად კონკრეტული ინიციატივა პლურალური გარემოს უზრუნველყოფას ვერ უზრუნველყოფს, ის მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და პრობლემა პრობლემად რჩება. აქვე ავღნიშნავთ, რომ ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა უაღრესად დადებითი დამოკიდებულებები რელიგიური კალენდარის და რუკების შესახებ, რელიგიური თემები ერთმანეთს ულოცავენ დღესასწაულებს, ასევე სახელმწიფო უწყებებიც მიმართავენ ამ ჟესტს, რაც ბარიერს ხსნის მათ შორის და პლურალური გარემო იქმნება ყველა რელიგიური კომფესიისთვის.

IV. პროგრამის მიზნის მიღწევის საშუალება იყო შესაბამისი პროგრამის ამოცანებთან?

პროგრამა მიზნად ისახავდა ორ მიზანს, პირველი ცნობიერების ამაღლება მეორე ურთიერთცნობადობის გაზრდას. პროგრამის ერთ-ერთი აქტივობა, რომელიც რელიგიური კალენდრებისა და რუკების შექმნა უკავშირდებოდა, წყაროების დამუშავებისას და ინტერვიუების შედეგად გამოირკვა, რომ ეფექტური იყო, თუმცა ტრენინგების აქტივობა ნაკლებად ეფექტიანი აღმოჩნდა.

ცხრილი 11 : ცნობიერების ამაღლების პროგრამის ანალიტიკური ქსელი

პროგრამა	ინდიკატორი	საკვლევი კითხვები
ცნობიერების და ურთიერთცნობადობის ამაღლების პროგრამა	საზოგადოების ინფორმირება	რამდენად ეფექტური საშუალებებით არის ინფორმირებული საზოგადოება?
	ადეკვატური ინფორმაციის მიწოდება	რამდენად არის ინფორმირებული საზოგადოება იმ სამართლებრივი დოკუმენტების შესახებ, რომელიც გარკვეულწილად შემწყნარებლობი საკითხებს არეგულირებს?

კვლევის პროცესში შემუშავებული იქნა, კონკრეტული პროგრამის ინდიკატორები და საკვლევი კითხვები, რათა შესაძლებელი გამხდარიყო პროგრამის ეფექტურობის

გაზომვა.

წინა პროგრამების შესაბამისად ინფორმაციის დამუშავება მოხდა (Data Triangulation) მეთოდის გამოყენებით, მონაცემების შეჯერება ხდება სხვადასხვა დაინტერესებული პირების ჩართვით კვლევის პროცესში. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა შემდეგი შეხედულებები:

დაინტერესებული მხარეები:

პირველი ცნობადობის გაზრდა, რათა საჯარო მოხელეებმა და საქართველოს მოქალაქეებმა კონფლიქტის ესკალაციას არ შეუწყოს ხელი, ამის მისაღწევად ჩატარდა ტრენინგები და გამოიცა სახელმძღვანელო.

ხოლო, მეორე აქტივობის მიზანი იყო ურთიერთცნობადობის გაზრდა რუკებისა და კალენდრების მეშვეობით. შემდგომ თეორიის თანახმად განისაზღვრა წინაპირობები, რომელიც აუცილებელია მიზნის მისაღწევად. ცნობიერების ამაღლების პროექტის მსვლელობაში გამოყენებული იქნა მსუბუქი საშუალებები, კონკრეტულად საჯარო მოხელეები გაეცნენ ინფორმაციას და არა სამართლებრივი აკრძალვებს, რაც შეიძლება არაეფექტურად აისახოს მათ საქმიანობაზე.

3.4 დავების გადაწყვეტის პროგრამა

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო არის უფლებამოსილი შეასრულოს შუამავლის როლი დავების გადაწყვეტაში საქართველოში არსებულ რელიგიურ გაერთიანებებთან. მუსლიმი თემის მიმართ წარმართული აგრესიისა და კონფლიქტების ესკალაციის პერიოდში, საზოგადოებაში ხშირად ისმოდა კითხვა სახელმწიფო რატომ არაფერს აკეთებს სიტუაციის განსამუხტად? ან კიდევ მუნიციპალიტეტებში საჯარო მოხელეები და პოლიცია რატომ აღვივებს კონფლიქტს?

რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული ძალადობის წინააღმდეგ პოლიტიკა შედის სააგენტოს კომპეტენციაშია, მისი არცერთი მანტატი არ სცილდება სარეკომენდაციო სფეროს, თუმცა სააგენტო მძლავრი ორგანოა და საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატივაც შეუძლია წამოაყენოს. შესაბამისად ეს უკანასკნელიც

მსგავსი ტენდენციით ხასიათდება.

2014 წელს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დაარსება არ არის შემთხვევითი, 2014-2016 წლებში საქართველოში მუსლიმი თემის მიმართ რელიგიური ნიშნით ძალადობის რამოდენიმე შემთხვევა გამოვლინდა (საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის განვითარების სტრატეგია, 2015). სახელმწიფო ვერ გაუმკლავდა აღნიშნულ გამოწვევას. მუსლიმების თვითნებური დაკავებისა და საპოლიციო ძალის გადამეტების ფაქტები, რომელიც მეორადი წყაროების დამუშავების კვალობაზე გამოვლინდა, წარმოადგენს მნიშვნელოვან დარღვევას, რომლის გადაჭრასაც ართულებს სააგენტოს ბუნდოვანი კომპეტენციები. მართალია იგი სარეკომენდაციო ფუნქციას ატარებს თუმცა პოლიტიკის შექმნისა და წარმართვის მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს.

სააგენტოს დაარსება და თვითოეული პროგრამა სწორედ სეკულარული გარემოს უზრუნველსაყოფად იქნა განპირობებული, სააგენტოს ანგარიშებში აღნიშნულია, რომ სამუშო წარმართებოდაშემდეგი მიმართულებით, სათანადო ექსპერტების ჩართულობით მოხდებოდა ინფორმაციის დამუშავება და ძირითადი პრობლემური მიმართულებების გამოყოფა, კერძოდ ინციდენტის წარმოშობის მიზეზების და მათი მიმართებით სახელმწიფოს მიერ გაწეული პრევენციული ღონისძიებების, ინციდენტის პერიოდში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესწავლა, როგორც რეაგირების მექანიზმი შემუშავებული იქნებოდა ინციდენტის გამოძიების პროცესი და შედეგები, ანალიზის შემდეგ კომპლექსურად რელიგიური შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულების პრევენციისა და რეაგირების ეფექტური სტრატეგია (რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, 2014). ეს არის მიმართულება, რომელიც პროგრამამ დაისახა, კვლევის მიზანია პროგრამის ეფექტურობის შეფასება.

რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული ძალადობის წინააღმდეგ პოლიტიკის შეფასების ინდიკატორები:

- აქტიური თანამშრომლობა სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან.

- სამართალდამცავ უწყებებთან აქტიური თანამშრომლობა

ფიგურა 7 შეწყვეტილი გამოძიების მაჩვენებლები

სსკ-ის მუხლები	გამოძიების შეწყვეტა დანაშაულებზე (საფუძვლებით)			დევენის დაწყება (პირი)			დევენის შეწყვეტა პირების (სხვადასხვა) საფუძვლებზე (საფუძვლებით)			დევენის არ დაწყება (საფუძვლებზე) (საფუძვლებით)		
	2012 წელი	2013 წელი	2014 წლის 3 თვე	2012 წელი	2013 წელი	2014 წლის 3 თვე	2012 წელი	2013 წელი	2014 წლის 3 თვე	2012 წელი	2013 წელი	2014 წლის 3 თვე
109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
117-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
126-ე მუხლის მეორე ნაწილის „ზ“	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
142-ე მუხლი	1 (105-ე მუხლის I ნაწილის „ა“)	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
144-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“	0	0	0	0	8	0	0	0	0	0	0	0
144-ე მუხლის მეორე ნაწილის „ვ“	0	0	0	0	9	0	0	0	0	0	0	0
258-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
155-ე მუხლი	1 (105-ე მუხლის I ნაწილის „ა“)	1 (105-ე მუხლის I ნაწილის „ვ“)	1 (105-ე მუხლის I ნაწილის „ა“)	0	0	0	0	0	0	0	0	0
156-ე მუხლი	2 (105-ე მუხლის I ნაწილის „ა“)	3 (2 დანაშაული შეყვანა 105-ე მუხლის I ნაწილის „ა“; 1 დანაშაული შეყვანა 105-ე მუხლის I ნაწილის „ა“)	2 (105-ე მუხლის I ნაწილის „ა“)	10	4	5	0	2 (105-ე მუხლის I ნაწილის „ა“)	0	0	3 (105-ე მუხლის III ნაწილი და 168)	2 (105-ე მუხლის III ნაწილი და 168)
166-ე მუხლი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0

წყარო: (საქართველოს მთავარი პროკურატურა, 2014)

ვინაიდან სააგენტოს აქვს უფლებამოსილება სარეკომენდაციო ხასიათის მოხსენება წარუდგინოს პასუხისმგებელ ორგანოებს და ამავდროს უდავოა, რომ საკანონმდებლო ბაზა საკმაოდ გაუმართავია, მნიშვნელოვანია მსგავს ტენდენციებს მიექცეს ყურადღება, რათა რელიგიური შეუმწყნარებლობის წინააღმდეგ პოლიტიკა ადეკვატურად იქნეს შეფასებული და დაგეგმილი.

სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ 155-ე მუხლიდან დაკავშირების 2012 წელს და 2014 წელს გამოძიება შეწყდა თითო-თითო შემთხვევაში. 2012-2-14 წლებში 156-ე მუხლზე გათვალისწინებული გამოძიება შეწყდა 7 შემთხვევაში. სტატისტიკა მიუთითებს, რომ რელიგიური შეუმწყნარებლობის დანაშაულებიდან ყველაზე აქტიურად გამოიყენება არა რელიგიური წესის აღსრულებისთვის ხელის შეშლის მუხლი(155-ე), არამეს დევნის მუხლი (155-ე). აქ გასათვალისწინებელია , რომ დევნის დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს არა მარტო რელიგიური, არამედ სხვა ნიშნით შეუმწყნარებლობის საფუძვლებზეც, ვინაიდან კონკრეტული რელიგიურ ნიადაგზე დევნასთან დაკავშირებული სტატისტიკა არ იწარმოება, ამ ნიშნით ჩადენილი დანაშაულების ზუსტი დადგენა შეუძლებელია.

მეორადი წყაროების დამუშავებისას გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია, სააგენტო ნაკლებად თანამშრომლობს სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან და სამართალდამცავ უწყებებთან. აღნიშნული ტენდენცია ახასიათებს სააგენტოს საანგარიშო პერიოდში.

მეორადი წყაროების კოდირების შედეგად გამოირკვა, რომ ეს ორი ინდიკატორი არ იქნა დაკმაყოფილებული, სააგენტო საანგარიშო პერიოდში ნაკლებად თანამშრომლობს სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან. ასევე გაუმართავი საკანონმდებლო ბაზის გამო, თანამშრომლობა სამართალდამცავ უწყებებთან უშედეგოდ მიმდინარეობს.

3.4.1 დავების გადაწყვეტის პოლიტიკის შედეგები და განსჯა

ცხრილი 12 : დავების გადაწყვეტის პროგრამის შეფასების ფორმა

პროგრამა	საკითხები	შეფასების კითხვა
რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული ძალადობის წინააღმდეგ პოლიტიკა.	<ul style="list-style-type: none"> პროგრამების შესაბამისობა სამართლებრივ ჩარჩოსთან პროგრამის შესაბამისბა სახელმწიფოს თანამედროვე გამოწვევებთან და სეკურიზმის პრინციპებთან. 	<p>1.რამდენად ეფექტურად თანამშრომლოს რსსს სასამართლოსთან, რათა გამოძიებულ იქნას თითოეული დანაშაული.</p> <p>2. რამდენად ეფექტურად თანამშრომლობს სააგენტო სახელმწიფო უწყებებთან?</p>

რელიგიური მორწმუნეთა და რელიგიურ თემთა დისკრიმინაციისაგან, დევნისგან და შეუწყნარებლობისაგან დაცვა, სათანადო სამართლებრივი და პოლიტიკური გარანტიების და მონიტორინგის საშუალებების შექმნითუმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, სახელმწიფო ვალდებულებებით და თანმდევი უფლებებით იყოს განმტკიცებული,მშვიდი გარემოს უზრუნველყოფა, იმავე რიგის დემოკრატიული

სიკეთეა, როგორც სეკულარული მმართველობა.

ცხრილი 13 : დავების გადაწყვეტის პროგრამის ანალიტიკური სქემა

პროგრამა	ინდიკატორი	საკვლევი კითხვები
დავების გადაწყვეტის პოლიტიკა	შემუშავებული რეკომენდაციები პასუხისმგებელ უწყებებთან	რამდენად უწყობს ხელს სააგენტო დავების გადაწყვეტას?
		რამდენად ეფექტურ რეკომენდაციებს გასცემს სფეროს გასაუმჯობესებლად?

პროგრამის შეფასების ინდიკატორისა და საკვლევი კითხვების განსაზღვრის საფუძველზე მოხდა ანალიზი.

(Data Triangulation) მეთოდის გამოყენებით, ინფორმაციის დამუშავება მოხდა სხვადასხვა დაინტერესებული პირების ჩართვით კვლევის პროცესში. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა შემდეგი შეხედულებები:

დაინტერესებული მხარეები:

იეჰოვას მოწმეებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ გასული წლების განმავლობაში ადგილი ჰქონდა მრავლობით შემთხვევას, როდესაც იეჰოვას მოწმეების რელიგიური წესების მშვიდობიანი შესრულების პროცესი ან რელიგიური აღმსარებლობის გამო აყენებდნენ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაწყოფას ან აზიანებდნენ ღვთისმსახურებისთვის განკუთვნილ შენობებს. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ სისხლის სამართლებრივი დევნა ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შედარებით იშვიათად ეკისრებათ ამ ტიპის სამართალდარღვევისთვის (რელიგიური დისკრიმინაციისა და კონსტიტუციური სეკულარიზმის კვლევა საქართველოში, 2014). მუსლიმთა უფლებების მამტაბურ შელახვას ჰქონდა ადგილი 2012 წლის მიწურულს ლანჩხუტის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანში და მოგვიანებით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ წინწყაროში, 2013 წელს კი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროში. ამ სოფლებში მცხოვრები მართლმადიდებელი მოსახლეობა ეწინააღმდეგებოდა ქართველი მუსლიმების მიერ

მეჩეთის ამოქმედებას და სიტყვიერი შეურაწყოფის, მუქარის და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის გზით მათ ტრადიციული ღვთისმსახურების ჩატარების საშუალებას არ აძლევდნენ (სახალხო დამცველი, 2013). მთავრობის ჩარევის შედეგად ურთიერთობების ზედაპირულად დალაგდა თუმცა, არავინ დასჯილა ჩადენილი დანაშაულების გამო.

პროროგრამის კრიტერიუმების შერჩევისას გავითვალისწინით ის ფაქტორები, რომ ჩაფიქრებული შედეგები შესაძლოა რთული გასაზომი ყოფილიყო და ის რომ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები შესაძლებელია სხვადასხვა შედეგს მიიჩნევდეს სასურველად, ეს დეტალები კვლევის პროცესს აბრკოლებდა, თუმცა მიგვაჩნია, რომ კვლევის შედეგები შეძლებისდაგვარად ყველა ეთიკური ნორმის დაცვით განხორციელდა.

4. საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა

საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მიზნებთან და ამოცანებთან მიმართებით, რომელსაც კვლევა ისახავს მიზნად. საერთაშორისო პრაქტიკა შესაძლოა არაადაპირირებადი იყოს საქართველოსათვის, თუმცა მისი შედარებითი ანალიზი მნიშვნელოვნად დაეხმარება კვლევას. საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლისას გაანალიზდა ორი ევროპული სახელმწიფო საფრანგეთი და გერმანია და ასევე ორი პოსტსაბჭოთა სახელმწიფო ყასახეთის და ჩეხეთის გამოცდილება. წინამდებარე თავში წარმოდგენილია როგორც ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, კონკრეტულად საფრანგეთის და გერმანიის მაგალითი, ასევე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ყაზახეთში და ჩეხეთში მოქმედი რელიგიის საკითხებზე მომუშავე უწყებების მანდატი.

4.1 ევროპული პრაქტიკის მიმოხილვა

წინამდებარე თავში განხილული იქნება საფრანგეთის და გერმანიის მაგალითები. შინაგან საქმეთა სამინისტროში, კულტის ცენტრალური ბიუროს საფრანგეთში არის ანალოგიური ორგანო საფრანგეთის მთავრობის დაქვემდებარებაში (Le ministère de l'Intérieur, ministère des cultes, 2016). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანებსა და ფუნქციებს შორის მაინც არის სხვაობა, კულტის ცენტრალურ ბიუროს აქვს კონკრეტული ფუნქციები, როგორც არის სამართლებრივი ექსპერტიზა, მსგავსი ტენდენცია საქართველოში არ განიხილება, წარმართავს რელიგიის კვლევას, ასევე პასუხისმგებელია ლაიციზმთან დაკავშირებულ საკითხებზე (Union bouddhiste de France, 2011). ბიუროს აქტიურად თანამშრომლობს კათოლიკური, პროტესტანტული, მუსლიმური, მართლმადიდებლური, ებრაული და სხვა თემების წარმომადგენლებთან ამასთანავე უწყება თანამშრომლობს სხვა სამინისტროებთან. რაც თავისთავად ურთიერთანგარიშის და ურთიერთვალდებულების ტენდენციას ზრდის. ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციებიდან აღსანიშნავია იურიდიული ექსპერტიზა, ეს სფერო ხაზგასასმელია ვინაიდან საქართველოს მაგალითზე მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა გვხვდება სამართლებრივ და პრაქტიკულ მხარეებთან. ბიურო შეიმუშავებს და ამზადებს ანგარიშს კულტის უფლების შესახებ ისეთ თემებზე როგორცაა ღვთისმსახურების

ადგილები, საქართველოს მაგალითზე სააგენტო ამ სფეროს შენობა-ნაგებობების გადაცემის უფლებას უზრუნველყოფს, თუმცა მართლმადიდებელ ეკლესიასთან ერთად მხოლოდ ოთხ რელიგიურ ორგანიზაციას გადაეცემა საკუთრების უფლება და ამ პირობებშიც, მხოლოდ რამოდენიმე გადადის მუდმივ მფლობელობაში. ბიუროს კომპეტენციაში ამავე დროს შედის საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ინიციატივების წარდგენა, ასევე კომუნების მხრიდან საკულტო ნაგებობების მშენებლობები, სადაც ჰორიზონტალური პრინციპი იკვეთება და რელიგიურ ორგანიზაციებს იერარქიული ხასიათი არ გააჩნიათ. რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობების შეკეთების პროცესში მატერიალური და ფინანსური მონაწილეობის და მიწის იჯარით გადაცემის საკითხებში სამართლებრივი ექსპერტიზის კომპეტენციას ფლობს (Beumier, 2006). თანხის გამოყოფისა და გადაცემის საკითხებში ექსპერტიზა ატარებს კვლევას და მხოლოდ ამის შემდგომ დგინდება გადაწყვეტილების ამოქმედება. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო უმეტეს შემთხვევაში ვერ ახერხებს ზიანის ადეკვატურ დაანგარიშებას). 1905 წლის 9 დეკემბრის სეპარაციის შესახებ კანონის დებულებების მიხედვით ბიურო ახორციელებს სამართლებრივ ზედამხედველობას, რომელიც უკავშირდება კულტის თავისუფლების და რელიგიის თავისუფლების დაცვას (Baubérot, 2004). ამავდროულად, სეკულარიზმის პრინციპების განხორციელებასა და ამ ყველაფერს სამართლებრივი ნორმების საფუძველზე ახორციელებს იგი ცენტრალურ როლს ასრულებს სეკულარიზმის პრინციპების გავრცელებასა და პრაქტიკულ გამოყენებაში. ორგანიზებას უწევს სემინარებს და უზრუნველყოფს საჯარო უწყებების თანამსრომლობის სწავლებას.

ეს უკანასკნელი ქართულ რეალობასაც ასახავს, გარდა ამის, კულტის ცენტრალური ბიურო ზეგავლენას ახდენს ადგილობრივი პრეფექტურის კომპეტენციაში, რელიგიური თემების ქონების, როგორც კულტურული მემკვიდრეობის გადაცემის, გაყიდვის საკითხებზე ნებართვების გაცემისას. შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთისა და საქართველოს მაგალითზე პარალელის გავლება შესაძლებელია, თუმცა ერთი ფუნდამენტური განსხვავება არსებობს, რომელიც ქართულ პარადიგმას ვერანაირად ვერ მოერგო, ეს არის სამართლებრივი ექსპერტიზა, სწორედ ეს უკანასკნელი ხდის კულტს ქმედითუნარიანს.

გერმანიაშიც არსებობს ანალოგიური გამოცდილება, თუმცა ქვეყნის პოლიტიკური მოწყობიდან გამომდინარე კულტის საკითხები მიწების კომპეტენციაა, იგი განსაზღვრულია გერმანიის კონსტიტუციის ფედერალურ ხელისუფლებასა და მიწებს შორის კომპეტენციების გადანაწილების მიხედვით (Basic Law for the Federal Republic of Germany, 2017). სახელმწიფოს ურთიერთობა რელიგიურ გაერთიანებებთან კონსტიტუციით განსაზღვრული რელიგიის და მრწამსის თავისუფლების ჩარჩოს მეშვეობით არის განსაზღვრული, ხოლო ფედერალურ და მიწების დონეზე სახელმწიფოსა და რელიგიურ გაერთიანებას შორის არსებულ შეთანხმებებში არის დარეგულირებული და სახელმწიფოს რელიგიის სამართალს ქმნის (Basic Law for the Federal Republic of Germany, 2017). შეთანხმებები გაფორმებულია წმინდა ეპარქიასთან, ევანგელურ ეკლესიასთან, და იუდეურ თემთან. ყოველ ხელშეკრულებას მოყვება იმპლემენტაციის კანონი, სადაც რეგულირებულია სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდიების, რელიგიური ძეგლების დაცვის და სხვა სახელმწიფო სერვისების მიწოდების შესახებ.

ფედერალურ მთავრობას აქვს სენსიტიური ვალდებულება ებრაელი თემის მიმართ, განპირობებული სოციალისტური რეჟიმის დროს, ებრაელი ხალხის გენოციდის შესაძლო დაფარვის ნებისმიერ ტენდენციასთან გამოვლენისა და აღკვეთის ბრძოლაში.

მთავრობა მიისწრაფის რასობრივი შეუწყნარებლობის დაგმობასა და აღმოფხვრისკენ და ამ მიზნით, ცდილობს მხარი დაუჭერს ორგანიზაციებს, რომლებიც ქრისტიანებსა და ებრაელებს შორი ურთიერთობების განვითარებაზე ზრუნავენ, როგორც არის ქრისტიანულ-ებრაული თანამშრომლობის საკოორდინაციო საბჭო .

ამ ურთიერთობების მოგვარება წესრიგდება ფედერალურ და მიწების დონეზე. რელიგიურ-მეცნიერული დაწესებულებები ფედერალური ხელისუფლებისაგან იღებს დახმარებას, მაგალითად ჰაიდენბერგში იუდეური სწავლების უმაღლესი სასწავლებელი რომელიც, იუდეურ რელიგიას, კულტურასა და ისტორიას სწავლობს. ფედერალურ მთავრობას ოფიციალურად აქვს გამოცხადებული საზოგადოებრივი თანამშრომლობა მუსლიმებთან დიალოგის და თანამშრომლობის გასაძლიერებლად. 2006 წლიდან, მუსლიმებთან ურთიერთობის გასაღრმავებად და დიალოგისათვის, ასევე სხვადასხვა

წარმოშობის რელიგიური და კულტურული ადამიანებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფის მიზნით ორგანიზებულია გერმანიის ისლამის კონფერენცია ფედერალური შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ.

კონფერენციის სამუშაო კომიტეტი დაკომპლექტებულია მეცნიერების, რელიგიური კავშირების წარმომადგენლების, პრაქტიკოსებისა და მეცნიერებისაგან, კონფერენციაში სწორედ მათი მონაწილეობით არის შესაძლებელი რეკომენდაციების მომზადება სხვადასხვა პოლიტიკური ხასიათის ფორუმისთვის და აგრეთვე საორგანიზაციო კომიტეტებისთვის. მუდმივად ღია კონფერენციების მეშვეობით, განსახილველი თემებისა და მიღწეული შედეგების ღიაობით მიღწეულია კონფერენციების გამჭვირვალობა.

კონფერენციის მთავარი მიზანებია, მუსლიმი თემის საზოგადოებრივი და ინსტიტუციური ინტეგრაციის გაუმჯობესება, ექსტრემიზმის შესაძლო საფრთხის შემცირებისა და საზოგადოების პოლარიზების თავიდან არიდება, თანამშრომლობა მიგრაციის და ლტოლვილთა საკითხების ფედერალური უწყებაში არსებულ მექანიზმებთან, გერმანულ სამართლებრივ, პოლიტიკური და კონსტიტუციის ღირებულებების რეჟიმში მუსლიმი მოსახლეობის ჩართულობა და თანამონაწილეობა. ისლამოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საფუძვლით, იმართება ღია კონფერენციები მუსლიმების მიმართ მტრობის როგორც ფენომენის შესასწავლად და აღსაკვეთად.

მსგავსი უწყებები ფუნქციონირებენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც, ძირითადად კვლევითი და სარეკომენდაციო რბილი კომპეტენციები აქვთ.

4.2 პოსტსაბჭოთა პრაქტიკის მიმოხილვა

თითქმის იდენტური ფუნქციებისა და მანდატის მქონე ცენტრალიზებული ინსტიტუტები რელიგიის საკითხებში, გვხვდება პოსტსაბჭოთა უმეტეს ქვეყნებში. ექსპერტების შეფასებით ისინი თითქმის იმეორებენ საბჭოთა კავშირში არსებულ რელიგიურ საკითხებში სახელმწიფო კომიტეტების საქმიანობას, რომელებიც მთავრობის

და სახელმწიფო დონეზე სპეციალიზებულ ერთეულებად არსებობდნენ (Pamet, 1990). მხოლოდ ალბანეთი არის მთლიანად რელიგიური, ყველ დანარჩენი პოსტსაბჭოთა სახელმწიფო, როგორი სოციალური სისტემაც არ უნდა არსებობდეს, დგას გამოწვევის წინაშე, რომ დაარეგულიროს ურთიერთობები სახელმწიფოსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის (Luchterhandt, 2008). სამართლებრივი ვალდებულებები ყველა რელიგიური ორგანიზაციის სახელმწიფოსთან მიმართებაში არის თითქმის იდენტური. საჭიროება არსებობს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში იარსებოს მსგავსმა ორგანოებმა, ვინაიდან რელიგიური გაერთიანებები, არიან ერთადერთი ლეგალურად გარანტირებული ორგანოები, რომლებიც სრულიად ვერ ინტეგრირდება და რჩება, როგორც უცხო ნაწილი სოციალური ცხოვრების რიტმში. სააგენტოებმა უნდა ითანამშრომლოს შინაგან საქმეთა სამინისტროებთან და უსაფრთხოების სამსახურებთან (Luchterhandt, 2008).

ყაზახეთი საბჭოთა იმპერიის დანგრევის შემდეგ ათეიზმის ჩანაცვლების გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. დამხობის შემდეგ ყაზახეთში რელიგიის საკითხთ სახელმწიფო სააგენტო შეიქმნა 2011 წელს, სააგენტო წარმოადგენს ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს, რომლის მთავარი მიზანია ინტერ-რელიგიური და მშვიდობიანი ურთიერთობების უზრუნველყოფა და ხელშეწყობა სხვადასხვა რელიგიურ ორგანიზაციას შორის, მოქალაქეების რელიგიის თავისუფლების დაცვა და პლურალური გარემოს უზრუნველყოფა, რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო წინადადებებისა და კვლევების მომზადება, სააგენტოს კომპეტენციები დამთხვევაშიმოდის საქართველოს რელიგიურ საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს კომპეტენციებთან.

უმცირესობების, მისიონერების საქმიანობის მონიტორინგს და სახელმწიფოში სამართალდამცავ ორგანოებს წარუდგენს წინადადებებს და რეკომენდაციებს იმ პირებისა და ჯგუფების საქმიანობის აკრძალვის თაობაზე, რომელთა საქმიანობაც ეწინააღმდეგება ყაზახეთის სახელმწიფო სამართლის ნორმებს (Julian Tucker, 2018). სააგენტო ასევე ფლობს საჩივრების მიღების შესაძლებლობაც ვინაიდან ფლობს ცხელ ხაზს.

ჩეხეთის პარადიგმის განხილვისას უნდა აღინიხნოს, რომ ჩეხეთის კულტურის

სამინისტროს სისტემაში არსებობს ეკლესიათა დეპარტამენტი (Ministry of Culture Czech Republic, 2019). მის კომპეტენციებში შედის ეკლესიებს, რელიგიურ საზოგადოებებს და სახელმწიფოს შორის ურთიერთობები, რელიგიის თავისუფლების გარანტიის უზრუნველყოფის შუალედური და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება და განხორციელება, ასევე რელიგიური გაერთიანებების და თემების რეგისტრაცია, ცვლილებების გეგმის შემუშავება და განხორციელება ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტებში. ეკლესიებსა და რელიგიური საზოგადოებების შესახებ ძირითადი ინფორმაციის შესახებ მონაცემთა გაერთიანების ბაზის უზრუნველყოფა, რაც ფუნდამენტურია კულტურის სამინისტროსთვის, ტენდერის ფარგლებში სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის, ეკლესიებისა და რელიგიურ საზოგადოებისთვის გრანტების გაცემა, ეკლესიების და რელიგიური გაერთიანებებისთვის ბიუჯეტების საკითხების განხილვა და შემდგომ დამტკიცება (ცენტრი, 2016).

დასკვნა

კვლევის მიზანს წარმოადგენდა, ერთი მხრივ, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს პროგრამების ანალიზი და მათი ეფექტურობის შეფასება სახელმწიფოს თანამედროვე გამოწვევებიდან გამომდინარე და მეორე მხრივ, პროგრამების შესაბამისობა სააგენტოს მიზნებსა და ამოცანებთან. კვლევამ გვიჩვენა, რომ სააგენტომ შეიმუშავა ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამები, რომლითაც განსაზღვრული იყო საერთო მიზანი, სეკულარულ მმართველობასთან დაახლოებული პროგრამების შემუშავება, თუმცა მისი განხორციელება არ ექვემდებარება სააგენტოს/ სახელმწიფოს მიზანს, ქონდეს საერთაშორისო პრაქტიკით მიზანდასახული სეკულარული მმართველობა.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებით ირკვევა, რომ საბჭოთა კავსირის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ერთიანი პოლიტიკა არ იქნა შემუშავებული, რომელიც არ იქნებოდა მიმართული გაურკვეველი კრიტერიუმებით თანხის გაურკვეველი ვადით გადახდაზე და ამის ნაცვლად უმჯობესი იქნებოდა დაარსებულიყო ისტორიულად მიყენებული ზიანის კვლევის ობიექტური, ექსპერტული ჯგუფი.

მართლმადიდებელი ეკლესია მნიშვნელოვანად ფლობს ზეგავლენას. ისტორიულად ჩამოყალიბებულ მრავალფეროვან და პლურალურ საზოგადოებაში ერთი კონკრეტული რელიგიური კონფენსიის მქონე ჯგუფისა და მისი თემისთვის გაუმართლებელი და არასეკულარული მმართველობისთვის შესაფერისი ექსკუზივის მინიჭება, მკვეთრად უპირისპირდება პლურალური და სეკულარული სახელმწიფოს პრინციფებს. რესტიტუციის პოლიტიკის შესწავლისას ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ადგილი აქვს არა საბჭოთა ტოტალიტარული მმართველობის მიერ მიყენებული ზიანის სამართლიან ანაზღაურებას, არამედ გაუმჭირვალე და გაურკვეველი პროცესის შედეგად შერჩეული გაერთიანებების დაფინანსების გეგმის შემუშავებას, რაც, ერთი მხრივ, შესაძლოა იყოს განპირობებული უშუალოდ ამ რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების მოტივით, მეორე მხრივ კი, შესაძლოა მიზნად ისახავდეს საქართველოს საპატრიარქოსთვის წლების განმავლობაში მინიჭებული საბიუჯეტო სახსრების შემდგომ ლეგიტიმაციას გამყარებულს კონსტიტუციური შეთანხმებით, იმის წარმოჩინებით, რომ საქართველოს

მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა სხვა რელიგიური გაერთიანებების სარგებლობენ საჯარო რესურსებით. წინამდებარე კვლევის ჰიპოთეზა, „საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში, რაც უფრო მეტია სეკულარული მმართველობის დანერგვის ინტენსივობა, მით უფრო ეფექტურად იქნება შესრულებული მათ მიერ შემუშავებული პროგრამები“ გამართლდა ვინაიდან შემუშავებული პროგრამებს საფუძვლად არ ქონდა სეკულარული მმართველობის მკვეთრად განსაზღვრული ტენდენციები.

დემოკრატიული სახელმწიფო მრავალფეროვანი საზოგადოების განსხვავებული რელიგიური მრწამსის, პრაქტიკისა და შეხედულებების მოქალაქეთა ერთობაა, სადაც თავისი რელიგიური ნიშნით მეორეხარისხოვან ადამიანად არავინ ითვლება (რელიგიური დისკრიმინაციისა და კონსტიტუციური სეკულარიზმის კვლევა საქართველოში, 2014). სახელმწიფო პროგრამები, ნებისმიერ სფეროში დემოკრატიული და სამართლიანი გარემოს უზრუნველყოფას უნდა ემსახურებოდეს.

ერთ-ერთ მთავარ პრობლემად წარმოდგება ის, რომ შეუმწყნარებლობა საზოგადოებაში სულდგმულობს. მას ერთი მხრივ პრემოდერნული ცნობიერება კვებავს, რომელიც ნებისმიერ განსხვავებულ ადამიანში უცხოა და მტერს ხედავს, მეორე მხრივ კი ტოტალიტარული მემკვიდრეობა, რომელიც საზოგადოებას უნიფორმულად წარმოადგენდა. სიღრმისეული ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ საზოგადოებაში მსგავსი დამოკიდებულებები ღრმად არის ფეხმოკიდებული. ანალოგიური ტენდენციები შეიმჩნეოდა საჯარო მმართველობის სფეროში, შესაბამისად ტრენინგები იყო მეტად მნიშვნელოვანი პროექტი, თუმცა პრობლემა უფრო სიღრმისეულია, აქედან გამომდინარე რბილი ხასიათის ტრენინგებს სჯობს სამართლებრივი დასჯის მექანიზმებზე საუბარი. ერთ-ერთ მთავარ პრობლემად წარმოდგება ის, რომ სხვადასხვა რელიგიის თემები და სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები, ბოლომდე ვერ იაზრებენ საკუთარ უფლებებს, ან კიდევ უარესი თავად აქვთ ცნობიერში ჩაბეჭდილი ის ფობია, რომელიც მათ მიმართ არსებობს საზოგადოებაში, ასევე შესაძლოა მათში იყოს შიში იმ მინიმალური ბერკეტების წართმევისა რაც მათ მიენიჭათ. გარდა ამისა, გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათვის ყველაზე მნიშვნელოვანია შეეძლოთ აღასრულონ დღესასწაულები, იარონ სამლოცველოებში და ირ იყვნენ გარიყულნი საზოგადოებიდან, როგორც ჩანს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ამ მოთხოვნების ზედაპირულად დაკმაყოფილებას

უწყობს ხელს.

ასევე, ერთ–ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა კონსტიტუციური შეთანხმების არსებობა მართლმადიდებელ ეკლესიასთან, მას დაბნეულობა შემოაქ და სწორედ ამ უსამართლო ჩანაწერის გასაბათილებლად ახორციელებს სააგენტო პროგრამებს, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს სეკულარულ მართველობას თუმცა საწინააღმდეგო შედეგებს ვიღებთ. საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად მიღებულია, რომ მსგავსი სახელმწიფო დაწესებულებები თითოეულ პროგრამას ახორციელებენ, მხოლოდ ექსპერტიზისა და ზარალის შემსწავლელი კომისიის წარმართული საქმიანობის შემდგომ, საქართველოში რსსს სურვილისამებრ ახორციელებს პოლიტიკას.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს პროგრამების ეფექტურობა კვლევაზე დაყრდნობით იქნა შეფასებული უარყოფითად, ვინაიდან უაღრესად პოზიტიური იდეის მიუხედავად ვერ აკმაყოფილებს სეკულარული მმართველობის პრინციპებს. პროგრამებსა და სეკულარულ მმართველობას შორის არსებობს მხოლოდ მოჩვენებითი კავშირი.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;

- Barbalet, J. (2011). Religion and the State: A Comparative Sociology. *JSTOR*, 90. Retrieved 05 29, 2019, from https://www.jstor.org/stable/j.ctt1wn0r14.10?Search=yes&resultItemClick=true&searchText=administration&searchText=and&searchText=secularism&searchUri=%2Faction%2FdoBasicSearch%3FQuery%3Dadministration%2Band%2Bsecularism%26amp%3Bfilter%3D&ab_segments=0%2Fd
- Basic Law for the Federal Republic of Germany*. (2017). Retrieved 02 18, 2019, from Deutscher Bundestag: <https://www.btg-bestellservice.de/pdf/80201000.pdf>
- Baubérot, J. (2004, 09 24). Laïcité 1905-2005, entre passion et raison. p. 135.
- Berger, B. L. (2017). Religion and the Exercise of Public Authority. (R. Moon, Ed.) *Journal for Juridical*, pp. 102-129.
- Beumier, M. (2006). *Courrier hebdomadaire du CRISP*. Consulté le 03 18, 2019, sur Le statut social des ministres des cultes et des délégués laïques: <https://www.cairn.info/revue-courrier-hebdomadaire-du-crisp-2006-13-page-5.html#>
- Bryman, A. (2008). Social research methods. *Oxford University Press*. Retrieved 04 11, 2019, from file:///C:/Users/SPLGuest/Desktop/Bryman_A._2012_Social_research_methods.p.pdf
- Byrd, D. J. (2017). Islam in a Post-Secular Society: Religion, Secularity and the Antagonism of Recalcitrant Faith. *JSTOR*, 45-59. Retrieved 05 15, 2019, from <https://www.jstor.org/stable/10.1163/j.ctt1w8h30m.6?Search=yes&resultItemClick=true&searchText=secular&searchText=governance&searchText=around&searchText=the&searchText=world&searchUri=%2Faction%2FdoBasicSearch%3FQuery%3Dsecular%2Bgovernance%2Baround%2Bth>
- Christopher Pollitt, G. B. (n.d.). Evaluation in Public Sector Reform. (H. Wollmann, Ed.) Retrieved 06 2019, from https://soc.kuleuven.be/io/pubpdf/IO04025_bouckaert.pdf
- Creswell, J. W. (2013). *Qualitative inquiry & research design: choosing among five approaches*. (Sage ed.). California.
- Elizabeta Kitanovic, P. R. (2016). *Religious Diversity in Europe*. Retrieved 03 20, 2019, from [globalethics.net: https://www.globethics.net/documents/4289936/17575651/GE_CEC_5_isbn9782889312702.pdf](https://www.globethics.net/documents/4289936/17575651/GE_CEC_5_isbn9782889312702.pdf)
- Fischer, F. (1999). Στο *Evaluating Public Policy* (σσ. 69-84). Chicago: Wadsworth Pub Co.

- Geert Bouckaert, G. B. (2016). Permanent Study Group on Governance of public sector. Retrieved 05 17, 2019, from https://soc.kuleuven.be/io/egpa/org/milan/paper/Papers/bouckaert_peters_verhoest.pdf
- Guion, L. A. (2002, 09). Triangulation: Establishing the Validity of Qualitative Studies. Retrieved 04 17, 2019, from http://www.ie.ufrj.br/intranet/ie/userintranet/hpp/arquivos/texto_7_-_aulas_6_e_7.pdf
- Gunn, T. J. (2015). *Georgian Constitutional Values versus Political and Financial Interests*:. Retrieved 03 15, 2019, from https://www.jus.uio.no/smr/english/about/programmes/oslocoalition/news/report_georgia_til_net.pdf
- Harry Hatry, S. B. (1999). Performance Measurement. Retrieved 05 12, 2019, from https://www.researchgate.net/publication/247140740_Performance_Measurement_Getting_Results
- James P. Connell, A. C. (1998). *Applying a Theory of Change Approach to the Evaluation of Comprehensive Community*. Retrieved 02 13, 2019, from SemanticScholar: https://pdfs.semanticscholar.org/af41/0504d2cfe5a812808c16d0a4418784d9da64.pdf?_ga=2.3577136.1834407435.1561906771-1488806399.1561906771
- Jansen, Y. (2013). Secularism, Assimilation and the Crisis of Multiculturalism: French Modernist Legacies. *JSTOR*, 15-28. Retrieved 04 16, 2019, from <https://www.jstor.org/stable/j.ctt6wp7qd.12?Search=yes&resultItemClick=true&searchText=secularism&searchText=and&searchText=pluralism&searchUri=%2Faction%2FdoBasicSearch%3FQuery%3Dsecularism%2Band%2Bpluralism%26amp%3Bacc%3Don%26amp%3Bwc%3Don%26amp%3Bfc%3D>
- Julian Tucker, S. F. (2018). *Religion and the Secular State in Kazakhstan*. (I. f. Policy, Editor) Retrieved 03 9, 2019, from <http://isdpeu/publication/religion-secular-state-kazakhstan/>
- Krishnaswami, A. (1960). Study of Discrimination in the matter of religious rights and practices. (U. Nations, Ed.) New York.
- Le ministère de l'Intérieur, ministère des cultes*. (2016). Consulté le 02 12, 2019, sur Neutralité de l'Etat et dérives sectaires: <https://www.interieur.gouv.fr/Archives/Archives-des-actualites/2016-Actualites/Le-ministere-de-l-Interieur-ministere-des-cultes>
- Luchterhandt, O. (2008, 01 02). State authorities for religious affairs in Soviet bloc countries. *Religion, State and Society*, 13, pp. 54-62.

Ministry of Culture Czech Republic. (2019). Retrieved 04 4, 2019, from Activities of the Department: <https://www.mkcr.cz/activities-of-the-department-934.html?lang=en>

Neuman, W. (1997). *Social Research Methods: Qualitative and Quantitative Approaches*.

Nieuwenhuis, A. J. (2012, 01 01). State and religion, a multidimensional relationship: Some comparative law remarks. *International Journal of Constitutional Law*, 10, pp. 155-174.

Örtengren, K. (2004, 01). A summary of the theory behind the LFA method. *The Logical Framework approach*, σσ. 5-25.

Palomino, R. (2012). Legal Dimensions of Secularism: Challenges and Problems. *Contemporary Readings in Law and Social Justice*.

Pamet, S. P. (1990). Catholicism and Politics in Communist Societies.

Paul Babie, N. R. (2012). Freedom of Religion under Bills of Rights. *JSTOR*, pp. 28-39.

Scott Naftel, H. B. (2006). Reforming Teacher Education: Something Old, Something New. *JSTOR*.

Thomas Donaldson, L. E. (1995, 01). *The Stakeholder Theory of the Corporation: Concepts, Evidence, and Implications*. Ανακτήση 04 13, 2019, από JSTOR: https://www.jstor.org/stable/258887?seq=1#metadata_info_tab_contents

Union bouddhiste de France. (2011). Consulté le 03 25, 2019, sur Laïcité et liberté religieuse - Recueil de textes et de jurisprudence: <https://www.bouddhisme-france.org/activites/informations-juridiques/article/laicite-et-liberte-religieuse-recueil-de-textes-et-de-jurisprudence.html>

Wagenaar, B. E. (1992). *The Practice of Social Research*.

დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა კვლევებისთვის საქართველოში. (2016). მოპოვებული 2019 წლის 14 02, https://www.osgf.ge/files/2017/Publications/Diskriminacia_WEB.pdf-დან

ზაზა ვაშაყმაძე, ლ. ა. (2016). სეკულარული მმართველობა. *სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი საჯარო სამსახურში*.-ში თბილისი, საქართველო.

მთავრობა, ს. (რედ.). (2015). *საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის განვითარების სტრატეგია*. მოპოვებული 2019 წლის 23 01, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო: <http://religion.geo.gov.ge/geo/document/saqartvelos-saxelmtsifos-religiuri-politikis>-დან

პაატა გერგაია, ზ. ვ. (2016). *ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისთვის*. თბილისი.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო. (2014). მოპოვებული 2019 წლის 4 03, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ანგარიში 2014 წლის ივნისი-დეკემბერი: <http://religion.geo.gov.ge/geo/document/reports/religiis-sakitxta-saxelmtsifo-saagentos-angarishi-dan>

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო. (2015). მოპოვებული 2019 წლის 11 02, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წლიური ანგარიში 2015: <http://religion.geo.gov.ge/geo/document/reports/religiis-sakitxta-saxelmtsifo-saagentos-tsliri-dan>

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო. (2018). მოპოვებული 2019 წლის 10 01, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 2016-2017 ანგარიში: <http://religion.geo.gov.ge/geo/document/reports/religiis-sakitxta-saxelmtsifo-saagentos-tsliri-dan>

რელიგიური დისკრიმინაციისა და კონსტიტუციური სეკულარიზმის კვლევა საქართველოში. (2014). Avákτιση 02 18, 2019, από ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი: <http://tdi.ge/sites/default/files/religiuri-diskriminaciisa-da-konstituciuri-sekularizmis-kvleva.pdf>

სააგენტო, რ. ს. (2014). *საქართველოს მთავრობის დადგენილება N117 2014 წლის 27 იანვარი ქ. თბილისი „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელება*. მოპოვებული 2019 წლის 21 02, სააგენტო: <http://religion.geo.gov.ge/geo/legislation/saqartvelos-mtavrobis-dadgenileba-n117-2014-tslis-dan>

საბჭო, ე. (2016). *ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მოხსენება საქართველოს შესახებ*. მოპოვებული 2019 წლის 12 04, <https://rm.coe.int/fourth-report-on-georgia-georgian-translation-/16808b5775-dan>

საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ. (2010 წლის 21 07). (ს. პარლამენტი, პროდიუსერი) მოპოვებული 2019 წლის 10 03, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/112588?publication=35-dan>

საქართველოს კონსტიტუცია. (1995). (ს. რ. პარლამენტი, პროდიუსერი) მოპოვებული 2019 წლის 13 02, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>-დან

საქართველოს მთავრობის დადგენილება N177 2014 წლის 19 თებერვალი ქ. თბილისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ. (2014). (ს. კანონმდებლობა, პროდიუსერი) მოპოვებული 2019 წლის 11 04, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო: <http://religion.geo.gov.ge/geo/legislation/saqartvelos-mtavrobis-dadgenileba-n177>-დან

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. (2011 წლის 07 05). მოპოვებული 2019 წლის 02 03, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1397061?publication=0>-დან

საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის განვითარების სტრატეგია (2015).

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ (2002). მოპოვებული 2019 წლის 05 02, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/41626?publication=0>-დან

ცენტრი, ა. უ. (2016). რელიგიის თავისუფლება სახელმწიფოს დისკრიმინაციული და არასაკულარული პოლიტიკის კრიტიკა. თბილისი.

ციხელაშვილი, ქ. (2018 წლის 22 11). საკულტო ნაგებობების რუკის პრეზენტაციაზე. თბილისი. მოპოვებული 2019 წლის 03 02, <https://www.youtube.com/watch?v=dNNCujlTK6k>-დან

წარმომადგენლობა, ს. (2019 წლის 11 03). რუსთავში რელიგიის სააგენტოს წარმომადგენლობა გაიხსნა. TV იმედი. მოპოვებული 2019 წლის 17 05, <https://www.youtube.com/watch?v=vW869GDPElo>-დან

ხეცურიანი, ჯ. (n.d.). სახელმწიფო და ეკლესია. (გ. კ. ქეთევან ერემადე, რედ.) თბილისი. მოპოვებული 2019 წლის 11 03, file:///C:/Users/SPLGuest/Desktop/saxelmwifo-daklesia%20%20%20%20__7040.pdf-დან

დანართები

დანართი 1: : სატიტულო ფურცლის ინგლისური თარგმანი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Elene Khetaguri

Evaluation of effectiveness of programs of State Agency for Religious
Issues

Public Administration and Public Policy

Master's thesis is done to obtain Master's degree in Public Administration

Supervisor: Associate Professor Nana Macharashvili

Tbilisi, 2019

დანართი 2: კვლევის კითხვარი

- *სრულიად საქართველოს მუსლიმთა გაერთიანების წარმომადგენლობა*
1. როგორ ფიქრობთ, რა ვალდებულებები აკისრია სახელმწიფოს რელიგიური უმცირესების დაცვის ვალსაზრისით?
 2. თქვენი აზრით, მოქალაქეებს გააჩნიათ საკმარისი ინფორმაცია მათი უფლებების და თავდაცვის თაობაზე?
 3. როგორ შეაფასებდით, საქართველოში წლების მანძილზე შექმნილ მდგომარეობას, როგორი ტენდენცია ახასიათებს, არის რაიმე ცვლილება და რა თვალსაზრისით?

4. თქვენთვის რას ნიშნავს რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვა, რაში გამოიხატება, როგორ ხდება ამ ფუნდამენტური უფლების უზრუნველყოფა?
5. აღმასრულებელი სასამართლო ხელისუფლების მხრიდან რა ქმედებებმა შეიძლება უზრუნველყოს სამართლიანი გარემოს შექმნა?
6. როგორ ფიქრობთ, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, რომელიც პრემიერ მინისტრს ექვემდებარება და ოპერირებს რელიგიური უმცირესობების უფლებების განმტკიცებასა და უზრუნველყოფაში, პროგრამები რომელიც აქვს შემოთავაზებული პასუხობს თქვენს გამოწვევებს?
7. თქვენ პირველ რიგში, რომელი საკითხის მოგვარება მიგაჩნიათ, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს რელიგიური შეუმწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის გამოძიება და აღკვეთა?
8. თქვენი გადმოსახედიდან, როგორ შეაფასებდით საქართველოში და სხვა ქვეყნებში რელიგიური უმცირესობების უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის საკითხებს?
9. თქვენ, როგორ შეცვლიდით მდგომარეობას შესაძლებლობა, რომ გქონდეთ?
 - *ლანჩხუთის, თეთრიწყაროს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი.*
1. როგორ შეაფასებდით რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობას? პასუხობს იგი მუნიციპალიტეტის გამოწვევებს?
2. რელიგიურ უმცირესობებს გააჩნიათ ნდობა სახელმწიფო უწყებებისადმი?
3. როგორ შეაფასებდით, (3 მუნიციპალიტეტი) მუნიციპალიტეტში წლების მანძილზე შექმნილ მდგომარეობას, როგორი ტენდენცია ახასიათებს, არის რაიმე ცვლილება და რა თვალსაზრისით?

4. ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან რა ქმედებებმა უზრუნველყეს მდგომარეობის გაუმჯობესება, თუ გაუმჯობესდა (ხელისუფლებაში რელიგიის საკითხთა სახელმწიფოსაც მოვიაზრებთ)
5. თქვენ პირველ რიგში, რომელი საკითხის მოგვარება მიგაჩნიათ, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს რელიგიური შეუმწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის აღკვეთა და ჯერ არ ყოფილა დღის წესრიგში?
6. როგორ შეაფასებდით ტრენინგებს, რომელიც რსსს განახორციელა?
7. როგორ შეხედულება გაქვთ რესტიტუციის (საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეულუ შენობა-ნაგებობების დაბრუნება) პოლიტიკაზე?
8. თქვენი გადმოსახედიდან, როგორ შეაფასებდით საქართველოში რელიგიური უმცირესობების უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის საკითხებს?
9. თუ ქსურს რაიმე საკითხზე გაამახვილოდ ყურადღება და მიგაჩნიათ, რომ ჩვენს კვლევას დაეხმარება , შეგიძლიათ ასახოთ მე-9 კითხვაში
 - *რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტი*
 1. როგორ ფიქრობთ, დღეისათვის როგორი ურთიერთობა არსებობს საქართველოს სახვადასხვა რეგიონებში რელიგიური შეუმწყნარებლობის თვალსაზრისით?
 2. რა ღონისძიებებს ანხორციელებს სააგენტი, რელიგიური შეუმწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის აღსაკვეთად?
 3. როგორი შედეგი გამოიღო ტრენინგებმა საჯარო მოხელეთათვის?
 4. როგორია თანამშრომლობა სხვადასხვა რელიგიურ გაერთიანებებთან, აქვთ გამოკვეთილი პრობლემა რომლის გადაჭრაც თქვენთვისაც კი პრობლემურია?
 5. როგორი პროცედურებით ხასიათდება რესტიტუციის პოლიტიკა?

6. როგორ რეგულირდება რესტიტუციის პოლიტიკა?
7. გეგმავთ მომავალში რაიმე ღონისძიებას, რომელიც რელიგიური უმცირესობების დაახლოებას შეუწყობს ხელს რელიგიურ უმრავლესობებთან?
8. როგორი დამოკიდებულება არსებობს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს შორის?
9. არსებობს თქვენთ ხელთ არსებული რაიმე ინფორმაცია, რომლის გაზიარებაც არის შესაძლებელი და თვლით, რომ მნიშვნელოვნად დაეხმარება კვლევას?

- *კომფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები ქართველი რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები*

1. რა გსმენიათ მუნიციპალიტეტში რელიგიური კონფლიქტების შესახებ?
2. თქვენზე ან თქვენს ახლობლებზე განხორციელებულა რაიმე სახის ძალადობა?
3. რა გსმენიათ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შესახებ
4. მიგაჩნიათ, რომ სახელმწიფო საკმარისად არის ჩართული თქვენი პრობლემების მოგვარებაში?
5. რა ძირითადი პრობლემები აწუხებთ თქვენს ახლობლებს რეგიონში?
6. რას ურჩევდით მთავრობას შესაძლებლობა რომ გქონდეთ?